აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსულობები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 676 009,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 660 678,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 97,7 პროცენტია.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდის შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 596 009,2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 649 948,6 ათასი ლარი, ანუ გეგმა შესრულებულია 109,1 პროცენტით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შემოსავლები წილობრივად



1. გადასახადები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის 2026 წლის სამი კვარტლის შემოსავლების უდიდესი ნაწილი, საერთო შემოსავლების 97,8 პროცენტი მოდის გადასახადებზე, რომელიც მოიცავს მხოლოდ საშემოსავლო გადასახადს. საანგარიშგებო პერიოდის საშემოსავლო გადასახადის გეგმა განისაზღვრა 586 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 635 845,3 ათასი ლარი, ანუ გეგმის 108,5 პროცენტი.

2. სხვა შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის 2026 წლის სამი კვარტლის სხვა შემოსავლების გეგმა განისაზღვრა 10 009,2 ათასი ლარით, ხოლო შესრულებამ შეადგინა 14 103,3 ათასი ლარი ანუ გეგმის 140,9 პროცენტი.

სხვა შემოსავლების საანგარიშო პერიოდის შესრულება მოდის მის შემდეგ სახეებზე: პროცენტებიდან შემოსავლების (სახაზინო ანგარიშზე არსებულ ნაშთზე დარიცხული სარგებელი) საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 5 300,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 412,0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 121,0 პროცენტი; დივიდენდებიდან მიღებულმა მაჩვენებელმა შეადგინა 42,9 ათასი ლარი; რენტიდან შემოსავლის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 767,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 699,4 ათასი ლარი, ანუ გეგმის 91,2 პროცენტი (რენტიდან შემოსავლები მოიცავს მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან და სარგებლობის

ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებულ შემოსავლებს); საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 177,2 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 535,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 302,4 პროცენტი; ჯარიმების, სანქციებისა და საურავების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 15,0 ათასი ლარით, შესრულებამ შეადგინა 12,5 ათასი ლარი, ანუ გეგმის 83,3 პროცენტი; ტრანსფერებიდან, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული მისაღები შემოსავლების საანგარიშო პერიოდის გეგმა განისაზღვრა 3 750,0 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 400,7 ათასი ლარი, ანუ გეგმის 170,7 პროცენტი.



არაფინანსური აქტივების კლება

ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის არაფინანსური აქტივების კლების (გაყიდვა) გეგმა განისაზღვრა 80 000,0 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიური შესრულება შეადგენს 10 729,4 ათას ლარს.

ჩატარდა 38 აუქციონი (მათ შორის განმეორებითი აუქციონები), სადაც ვერ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება. სამრეწველო ზონაში მიმდინარეობს ბათუმის შემოვლითი გზის პროექტისა და ინდრუსტრიულ ზონაში მთავარი და მეორეხარისხოვანი გზების საბოლოო პროექტის დაზუსტება, რათა განსაზღვრულიყო საინვესტიციო ნაკვეთების შესაბამისობა ინფრასტრუქტურულ პროექტებთან. არ დასრულებულა რიგი სამართლებრივი დავები უძრავი ქონებების გამოთავისუფლების თაობაზე. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმდინარე პროცედურების ნაწილი ვერ დასრულდა აღნიშნულ კვარტალში, რის გამოც 50-მდე შეფასებული უძრავი ქონების გამოცხადება ვერ მოხერხდა, რამაც გამოიწვია მოსალოდნელი შემოსულობების შეუსრულებლობა.

საანგარიშო პერიოდში ძირითადი კაპიტალის გაყიდვიდან მიღებულმა

შემოსავალმა შეადგინა 4 619,6 ათასი ლარი, მატერიალური მარაგებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 75,7 ათასი ლარი, ხოლო არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 6 034,1 ათასი ლარი.



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა 695 193,1 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ფაქტიური დაფინანსება კი 475 799,1 ათას ლარს, რაც გეგმის 68,4 პროცენტს შეადგენს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2026 წლის ცხრა თვის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ორგანიზაციული კლასიფიკაცია:



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებული ასიგნებებმა 7 923,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 6 282,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 79,3 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი 1 204,3 ათასი ლარის ასიგნება დაფინანსებულია – 1 150,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,5 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 6 296,0 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 4 633,9 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 73,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 114 874,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 83 865,0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 73,0 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 72 006,3 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 52 286,7 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 72,6 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, მის სისტემაში შემავალ ორგანიზაციებსა და პროგრამულ ღონისძიებებზე 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 79 781,4 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 74 243,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგის 93,1 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2026 წლის ცხრა თვეში გამოყოფილმა დაზუსტებული ასიგნებებმა 26 778,5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ – 17 466,1 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 65,2 პროცენტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს, მასთან არსებული ორგანიზაციებისა და პროგრამული ღონისძიებებისათვის 2026 წლის ცხრა თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა 40 195,9 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 31 642,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის 78,7 პროცენტია.

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები, რომლებიც მოიცავს მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემ კაპიტალურ და სპეციალურ ფინანსურ დახმარებას, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებას, საწევროებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდს, სესხების მომსახურების ხარჯებს, უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნების ხარჯებს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსურ უზრუნველყოფას, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს 2026 წლის ცხრა თვეში გამოყოფილი დაზუსტებული გეგმა შეადგენს 346 133,0 ათას ლარს, ხოლო დაფინანსება კი - 204 228,9 ათას ლარს, რაც გეგმის 59,0 პროცენტი.

მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2026 წლის ცხრა თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 171 897,5 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 94 961,8 ათასი ლარი, რაც გეგმის 55,2 პროცენტია.

მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან 2026 წლის ცხრა თვეში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 92 817,8 ათასი ლარი, საიდანაც გახარჯულია 72 996,2 ათასი ლარი, რაც გეგმის 78,6 პროცენტია.

სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შპს „შპს აჭარის პროექტების მართვის კომპანიის“ დაფინანსება 10 390,3 ათასი ლარით, შპს „აჭარის ნარჩენების მართვის

კომპანიის“ დაფინანსება 1 674,2 ათასი ლარით, შპს „გოდერძი რესორტის“ დაფინანსება 911,3 ათასი ლარით, სს „აჭარის წყლის ალიანსის“ დაფინანსება 14 676,8 ათასი ლარით, შპს გაზეთი აჭარა და ადჟარიას დაფინანსება 364,5 ათასი ლარით და შპს აჭარის აქტივების მართვის კომპანიის დაფინანსება 227,2 ათასი ლარით.

საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში

საანგარიშო პერიოდში გადახდილია ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის ხელშეწყობის ასოციაციის და პერიფერიული საზღვაო რეგიონების კავშირისა და შავი ზღვისა და ბალკანეთის კომისიის საწევრო გადასახადები 11,5 ათასი ლარის ოდენობით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდი

2026 წლის სამი კვარტლის განმავლობაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 14 115,4 ათასი ლარი შემდეგი ღონისძიებების დასაფინანსებლად:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 ბრძანებით გამოეყო 10,0 ათასი ლარი თანამშრომლის ოჯახის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 3 ბრძანებით გამოეყო 15,0 ათასი ლარი კულტურის სფეროში მოღვაწეთა ღვაწლის დაფასების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1 ბრძანებით გამოეყო 5,0 ათასი ლარი საჯარო სკოლის დირექტორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ოჯახისთვის მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2 ბრძანებით გამოეყო 10,0 ათასი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ ბათუმის ბულვარის თანამშრომლის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გათვალისწინებით, გარდაცვლილის ოჯახის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის გაწევის მიზნით და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობის გათვალისწინებით, გარდაცვლილის ოჯახის მატერიალური და მორალური მხარდაჭერის მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 654 ბრძანებით გამოეყო 6 376,0 ათასი ლარი სამედიცინო, მატერიალური და სხვადასხვა მომსახურების/დახმარების გაწევის მიზნით.

ქალაქ ბათუმის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტების მერიებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

თავმჯდომარის 3 ბრძანებით გამოეყო 7 699,4 ათასი ლარი ხანძრისა და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების გაწევის მიზნით.

სესხების მომსახურების ხარჯები

საანგარიშო პერიოდში გადახდილი იქნა აჭარის მყარი ნარჩენების მართვის მომსახურების გაუმჯობესება და გაფართოებისათვის ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხების მომსახურების ხარჯები 280,4 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები 715,4 ათასი ლარი.

უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება

საანგარიშო პერიოდში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის დაბრუნების მიზნით გაიხარჯა 7 019,2 ათასი ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი

საანგარიშო პერიოდში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 მარტის №36 განკარგულებით მუნიციპალიტეტებისათვის გამოყოფილი იქნა 4 194,0 ათასი ლარი.

მხარჯავი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესრულების მდგომარეობა (ადმინისტრირება მართვისა და მომსახურების მიწოდების პროგრამებისა და ქვეპროგრამების გარეშე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო 2026 წელს ახორციელებს ექვს პროგრამას: ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე 5 შემდეგ პროგრამას: რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა, ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა, სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამა, საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის

პროგრამა და მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა, რომელთაგან გეგმა გათვალიწინებულია 4 პროგრამაზე.

რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების მართვა 2026 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 493,1 ათასი ლარს, საიდანაც საკასო ხარჯი გაწეულია 478,4 ათას ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის N141 დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს“-გან ელექტრონული აუქციონების განცხადების განთავსებისა და ვაჭრობის პროცესის უზრუნველყოფის მომსახურეობის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 20,0 ათასი ლარი;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების დაცვის მიზნით განხორციელდა დარაჯების (ყარაულების) დროებით სამუშაოზე აყვანა, სამი კვარტლის საკასო ხარჯმა შეადგინა - 78,7 ათასი ლარი;
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცვითი მომსახურების შესყიდვის მიზნით გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა - 357,7 ათასი ლარი;
4. „სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მოვლა-პატრონობა და შენახვა“ ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონებების ელექტრო ენერგიის საფასურის ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 5,2 ათასი ლარი.
5. სახელმწიფო ქონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების საბაზრო ღირებულებისა და საიჯარო ღირებულების დადგენის მიზნით განხორციელდა აუდიტორული მომსახურების შეძენა. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა - 16,8 ათასი ლარი.

   ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 97,0 %

ქვეპროგრამის - რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი 2026 წლის ცხრა თვის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 49,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 0,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის „საინვესტიციო შეხვედრების/ღონისძიებების ორგანიზება და მონაწილეობის უზრუნველყოფა“ ღონისძების ფარგლებში რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენის მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიება: 2026 წლის 2-5 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის

სამინისტროში ვიზიტით იმყოფებოდნენ საერთაშორისო ბიზნეს-გაერთიანების - Caspian Energy Club-ის ოფიციალური წარმომადგენლები. შეხვედრის მიზანი იყო ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება, სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობის გაფართოება. ღონისძიების საკასო ხარჯმა შეადგინა 0,5 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად განპირობებულია დაგეგმილი საინვესტიციო ღონისძიების გრაფიკის ცვლილებით. მიუხედავად ამისა, რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი მიმდინარეობდა სხვადასხვა ფორუმებსა და შეხვედრებზე, მათ შორის რამდენიმე შეხვედრა გაიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში, რამაც გამოიწვია ხარჯების ოპტიმიზაცია.

ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სივრცითი მოწყობის, დასახლებათა დაგეგმვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2026 წლის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 88,8 ათას ლარს, საკასო შესრულება 86,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის გარდა) ტერიტორიებზე შემუშავებული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების მართვა“ ფარგლებში სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფის მიერ გადამუშავდა და ცვლილებები შევიდა ჩაქვი-ციხისძირის სანაპირო ზოლის განაშენიანების რეგულირების გეგმაში. დასრულდა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის განახლებაზე და მაჭახელას ადმინისტრაციული ერთეულის განაშენიანების გეგმის კონცეფციაზე მუშაობა. გრძელდება მუშაობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობით დოკუმენტში მოსალოდნელი ცვლილებების ანალიზზე. დასრულდა მუშაობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის და სარფის განაშენიანების გეგმებში ცვლილებების შეტანაზე, არსებული გამოწვევებისა და რეალობების ასახვის უზრუნველსაყოფად. დასრულდა მუშაობა შუახევის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ღომას მთის განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანაზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუშაობს სამინისტროსთან არსებული სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფი, რომელიც შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 86,0 ათასი ლარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,8 %

ქვეპროგრამის - აჭარის ტერიტორიაზე არსებული მთის კურორტებისა და სარეკრეაციო ადგილების განვითარება 2026 წლის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 2 910,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 593,2 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „სამთო-სათხილამურო კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის განვითარება“ ფარგლებში დაფინანსდა თოვლსატკეპნი მანქანების ანგარის, თემატური გამოფენა-ბაზრობის, ავტოსადგურისა და ავტოპარკინგის შენობების ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობის სამშენებლო სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს. საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯი შეადგენს 593,2 ათას ლარს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის აუცილებლობით, რის გამოც სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ სამშენებლო სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საანგარიშო პერიოდში არ იქნა წარმოდგენილი, შესაბამისად ანაზღაურება მოხდება მეოთხე კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 20,4 %

ქვეპროგრამის - ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა 2026 წლის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 1 438,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 609,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში, მაჭახლის ხეობაში ეთნოსოფელის განვითარებისთვის ინფრასტრუქტურის მოწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ №22.33.06.045) მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობის დასრულების სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სოფელ ზედა ჩხუტუნეთში მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრის სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელმა კომპანიამ ვერ უზრუნველყო შესრულებული სამუშაოების შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა, რაც კავშირშია საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილებების შეტანასთან.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 42,4 %

სოციალური და სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის პროგრამის 2026 წლის ცხრა თვის გეგმა შეადგენს 38 500,0 ათას ლარს, საკასო შესრულება 32 096,5 ათას ლარს.

საანგარიში პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში (დასახლება მეჯინისწყალი) მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 05.32.09.877) ე.წ „ოცნების ქალაქი“-ს მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. კერძოდ:

შენობა №1 – დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (12 საცხოვრებელი სართული), ასევე დასრულდა მე-12 სართულის ჩათვლით ბლოკის წყობის სამუშაოები და დაკაბელება/ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს იატაკის მოჭიმვა,

კერამოგრანიტის მოწყობა, თაბაშირმუყაოს მოწყობა, დერეფნებში მოპირკეთებისა და გარე ფასადის მოწყობის სამუშაოები.

შენობა №2 - დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (12 საცხოვრებელი სართული), მე-12 სართულის ჩათვლით დასრულდა ბლოკის წყობის სამუშაოები. დასრულდა ფასადის თბოიზოლაციის მოწყობა XPS ფილებით. მიმდინარეობს იატაკის მოჭიმვა, კერამოგრანიტის მოწყობა, თაბაშირმუყაოს მოწყობა, დერეფნებში მოპირკეთების სამუშაოები.

შენობა №3 - დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (8 საცხოვრებელი სართული), ასევე დასრულებულია ბლოკის წყობის, დაკაბელებისა და ლესვის სამუშაოები. დასრულდა ფასადის თბოიზოლაციის მოწყობა XPS ფილებით, შემდგომი ბადის ჩაძირვით და საბაზო ლესვით. მიმდინარეობს კერამოგრანიტისა და თაბაშირმუყაოს მოწყობის სამუშაოები.

შენობა №4 - დასრულდა მე-12 სართულის იატაკის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა. 1-12 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის და დაკაბელება/ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს ფითხის სამუშაოები.

შენობა №5 - დასრულდა მე-12 სართულის იატაკის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა. 1-12 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის და დაკაბალება, ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს ფითხის და გარე ფასადის სამუშაოები.

შენობა №6 - დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (8 საცხოვრებელი სართული), 1-8 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის სამუშაოები, ასევე დასრულებულია აღნიშნულ სართულებზე დაკაბელება და ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს იატაკის მოჭიმვა და კერამოგრანიტის მოწყობა.

შენობა №7 - დასრულდა მე-12 სართულის იატაკის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ასევე 1-12 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის და დაკაბელება/ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს ფითხის სამუშაოები.

შენობა №8 - დასრულდა მე-12 სართულის იატაკის დონეზე ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა, ასევე 1-12 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობის და დაკაბელება/ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს ფითხის სამუშაოები.

შენობა №9 - დასრულებულია ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა (8 საცხოვრებელი სართული), ასევე 1-8 სართულებზე დასრულდა ბლოკის წყობისა და დაკაბელება/ლესვის სამუშაოები. მიმდინარეობს ფითხის სამუშაოები.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია შემსრულებელი კომპანიის მიერ გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურებაზე მოთხოვნის საანგარიშგებო პერიოდში წარმოუდგენლობის გამო, საშემსრულებლო დოკუმენტაციის საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ დადასტურების დაგვიანების გამო.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 83,4 %

საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 850,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს შუახევი (ხიჭაურის დასახლება) - გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე საშუალოწნევიანი გაზსადენის მშენებლობას. 2026 წლის 9 თვის მდგომარეობით დაბა ხულო-გოდერძის უღელტეხილის მონაკვეთზე მოეწყო 600 გრძ/მ გაზსადენი, მიმდინარეობს 600 გრძ/მ-ზე მეტი მილსდენის სამონტაჟო სამუშაოები, რომელიც დასრულდება მიმდინარე წლის მეოთხე კვრტალში.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა განპირობებულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზაზე მიმდინარე სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო. გაზსადენის მშენებლობა მიმდინარეობს შეფერხებით, რაც გამოწვეულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო, ვინაიდან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს. გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობს და შესაბამისად ხორციელდება გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები.

სსიპ „ბათუმის ბულვარი“ ახორციელებს ორ ქვეპროგრამას - ბათუმის ბულვარის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 8 653,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 6 347,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში ბათუმის ბულვარის მოვლა-შენახვასა და მიმდინარე ხარჯებზე გაწეულია 4 988,4 ათასი ლარი, რომელიც ძირითადად მოიცავს ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათებისა და მუსიკალური შადრევნებისათვის ელექტრო ენერგიის ხარჯს, ბულვარის ტერიტორიის დასუფთავების, სანიტარული მომსახურების და ბულვარის ტერიტორიის დაცვის ხარჯს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული კაპიტალური პროექტების საკასო ხარჯმა შეადგინა 1 359,5 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული საბავშვო კუთხეების რეაბილიტაცია და ახალი საბავშვო კუთხის მოწყობა“ დასრულდა ძველ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია, ასევე დასრულების ეტაპზეა ახალ ბულვარში არსებული საბავშვო კუთხის რეაბილიტაცია, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 243,9 ათასი ლარი;

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ძველი ბულვარის ცენტრალურ შესასვლელში, შადრევნებთან არსებული აუზის რეაბილიტაცია“ დასრულდა შადრევნის

რეაბილიტაციის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 105,4 ათასი ლარი;

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის სანაპიროსთვის გასახდელების შეძენა-მონტაჟი“ განხორციელდა 15 ერთეული საზოგადოებრივი დანიშნულების გასახდელის შეძენა-მონტაჟი, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 190,2 ათასი ლარი;

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის გამწვანების მიზნით სხვადასხვა სახის მრავალწლოვანი ხე-მცენარეებისა და ერთწლოვანი ყვავილების შესყიდვა და მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის ხარჯები“ განხორციელდა მრავალწლოვანი ხე-მცენარის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 328,4 ათასი ლარი;

ღონისძიების ფარგლებში „ბაღის კლასიკური სამმეტრიანი სკამების შეძენა“ განხორციელდა 80 ერთეული სკამის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 98,8 ათასი ლარი;

ღონისძიების ფარგლებში „ბოწკინტების შეძენა“ განხორციელდა 115 ერთეული ბოწკინტის შეძენა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 72,2 ათასი ლარი;

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის მოვლა-შენახვისთვის საჭირო მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა“ განხორციელდა 3 ერთეული სათიბი ტრაქტორის შესყიდვა, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 72,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში არსებული სკვერების რეაბილიტაცია“ დასრულდა ბამბუკების სკვერის (გარე ელექტრო ქსელის მოწყობა) რეაბილიტაციის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარმა შეადგინა 87,0 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარში ნოდარ დუმბაძის და დემეტრე თავდადებულის ქუჩების გასწვრივ არსებული ტერიტორიის რეაბილიტაცია 2-ე ეტაპი“ დაფინანსებულია სარეაბილიტაციო სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 113,1 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ბათუმის ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების მოვლა-პატრონობის ხარჯები“ განხორციელდა გარე განათების დამიწების კონტურების მოწყობის სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 48,5 ათასი ლარი.

ღონისძიების ფარგლებში „ადაპტირებული პლაჟისათვის ტივტივა ეტლების შეძენა“ განხორციელდა 4 ერთეული ტივტივა ეტლის შესყიდვა, მიმდინარეობს ეტლების მოწოდება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ბულვარის ტერიტორიის დაცვის მომსახურების, დასუფთავების, კომუნალური ხარჯების და სხვა ხარჯების ანაზღაურება მოხდა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ. სხვაობა, ასევე გამოწვეულია ელექტრონული ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებით და ქვემოთ აღნიშნული ღონისძიებების ვადებში შეუსრულებლობით, რაც ძირითადად გამოწვეულია ზაფხულის აქტიური ტურისტული სეზონის სპეციფიკითა და შექმნილი გარემოებებით, შესაბამისად, სამშენებლო სამუშაოების წარმოება შემოდგომისთვის გადაიდო, კერძოდ:

ღონისძიების „ბათუმის ბულვარში არსებული შადრევნების და სხვა ნაგებობების მოვლა-პატრონობა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ორჯერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი შადრევნების სათადარიგო ნაწილების შეძენაზე, რომელიც სპეციფიკიდან გამომდინარე (შადრევნების სათადარიგო ნაწილები საქართველოში არ მოიპოვება) არ შედგა. ამის შემდგომ, ტენდერი გაიყო და საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა ორ ტენდერად, რომელიც შედგა და გაფორმდა ხელშეკრულებები, შესაბამისად საანგარიშო წლის ბოლომდე მოწოდებული იქნება სათადარიგო ნაწილები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 73,4 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი 2026 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობა, აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე და ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარება.

ტურიზმისა და კურორტების სფეროს მართვა და დარგის ეფექტიანი განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისიწინებს ორ ქვეპროგრამას, რომელთა ფარგლებში ხორციელდება ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვის ქვეპროგრამა და ასევე ქვეპროგრამა - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოება.

ქვეპროგრამის - დარგის საჭიროებებისა და განვითარების პოტენციალის კვლევა და სტატისტიკის წარმოების საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 172,2 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 127,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა - 2025 წელს გაფორმებული მრავალწლიანი ხელშკრულების ფარგლებში შპს „ბი-სი-ჯი კვლევა“-მ უზრუნველყო კვლევის მეოთხე ეტაპის მოწოდება, ადგილობრივი ტურისტული ბაზრის 2025 წლის კვლევა დასრულდა. ასევე დასრულდა 2026 წლის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევის პირველი და მეორე ეტაპი. მიმდინარეობს კვლევის მესამე ეტაპი რომელსაც აწარმოებს შ.პ.ს. „ბისი-ჯი კვლევა“. ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევის ფარგლებში მიმდინარეობს ტურისტთა განთავსების არარეგისტრირებული სექტორის ადგილობრივი ტურისტული ბაზრის კვლევა.

„უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა“ - ღონისძიების ფარგლებში დასრულდა 2025 წლის უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა, კვლევას აწარმოებდა ააიპ საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია. დასრულდა 2026 წლის უცხოელ

ვიზიტორთა ბაზრის კვლევის პირველი და მეორე ეტაპი. მიმდინარეობს კვლევის მესამე ეტაპი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 74,3 %

აჭარის ტურისტული მარკეტინგი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე საანგარიშო პერიოდი გეგმა შეადგენს 4 350,0 ათას ლარს, შესრულებამ შედგინა 1 851,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში დეპარტამენტმა რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების წარმოჩენისა და პოპულარიზაციის მიზნით განახორციელა სხვადასხვა სახის სარეკლამო-მარკეტინგული საქმიანობა.

ღონისძიების „საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა და საერთაშორისო ღონისძიებების ორგანიზება საქართველოში ან საზღვარგარეთ. საერთაშორისო ტურისტულ ან/და ტურიზმთან დაკავშირებული დარგების გამოფენებში, კონფერენციებში, სემინარებში, ფორუმებში, ფესტივალებში, ღონისძიებებსა და სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობა, ასევე აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებობების წარმოჩენის მიზნით პრეზენტაციების, კონფერენციების, ფორუმების, ფესტივალის, სამუშაო შეხვედრების, სხვადასხვა ღონისძიების და პიარ აქტივობის ორგანიზება“ ფარგლებში რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით დეპარტამენტმა მონაწილეობა მიღო 18 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენასა და სამუშაო შეხვედრაში. აჭარის რეგიონი და რეგიონის ტურისტული პოტენციალი წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ტურისტულ გამოფენასა და ღონისძიებაზე.

ღონისძიების „სარეკლამო, საინფორმაციო, გამოცდილების გაზიარებითი და გაცნობითი ტურების ორგანიზება ტუროპერატორების, მედია საშუალებების სხვადასხვა წარმომადგენლის, ექსპერტების, ტურიზმის დარგის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტის ან/და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული/ტურიზმის სფეროს მასტიმულირებელი დარგის წამომადგენლებისთვის“ ფარგლებში, ჩატარდა შვიდი სარეკლამო-საინფორმაციო ტური, აჭარის რეგიონის ტურისტული შესაძლებლობების გაცნობის მიზნით აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს სტუმრები ეწვივნენ შემდეგი ქვეყნებიდან: ჩინეთი, საბერძნეთი, იტალია, პოლონეთი, ესპანეთი, ინდოეთი, გერმანია, ყაზახეთი და უზბეკეთი.

ღონისძიების „რეგიონის პოპულარიზაცია საერთაშორისო ან/და სამიზნე ქვეყნებში სხვადასხვა სარეკლამო აქტივობებით (მათ შორის სატელევიზიო რეკლამის, ონლაინ

რეკლამის, გარე რეკლამის, ბეჭდური მედიისა და სხვა სარეკლამო საშუალებებით)“ ფარგლებში:

ბრიტანულ სამოგზაურო სათავგადასავლო პლატფორმაზე „Wired for adventure” განთავსდა 2 გვერდიანი სტატია აჭარის სათავგადასავლო ტურისტული პროდუქტების შესახებ და აღნიშნული გამოცემის გარეკანზე განთავსდა აჭარის ფოტო, ასევე აჭარის სხვასხვა ტურისტული პროდუქტის ფოტო დაიდო პოსტებად პლატფორმის სოციალური მედიის გვერდებზე.

ITB BERLIN-ის ოფიციალურ გამოცემაში ITB Global Travel Collection 2026-ის ერთჯერადი გამოცემის შიდა ყდის პოზიციაზე განთავსდა ბათუმისა და აჭარის რეგიონის ორგვერდიანი რეკლამა.

მიმდინარეობს მარკეტინგული კამპანია ჩინური სოციალური მედიის პლატფორმებზე, როგორიცაა WeChat, Weibo, RED/XiaoHongShu და Doyin. კამპანიის ფარგლებში პლატფორმებზე თავსდება ინფორმაცია ბათუმისა და საქართველოს ისტორიის, კულტურის, ტრადიციების და ტურისტული პოტენციალის შესახებ.

გაფორმდა ხელშეკრულება ავიაკომპანია WIZZAIR-თან, რომლის ფარგლებშიც ორგვერდიანი სარეკლამო სტატია განთავსდება ავიაკომპანიის საბორტო ჟურნალის აპრილი/მაისისა და ივნისი/ივლისის გამოცემებში.

განხორციელდა ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია The Telegraph-ის ონლაინ და ბეჭდურ ვერსიაში. The Telegraph.co.uk ვებგვერდზე, ონლაინ სამოგზაურო გაიდში კონტენტის განთავსების სახით.

ორგვერდიანი საინფორმაციო–სარეკლამო სტატია განთავსდა ბრიტანული გამოცემის ჟურნალ „Birdwatch“-ის 2026 წლის ივნისის ნომერში;

განხორციელდა ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია უნგრულ სამოგზაურო ჟურნალში „Vilagjaro“;

სარეკლამო სტატია განთავსდა პოლონურ ონლაინ პორტალებზე www.r.pl; ასევე ამავე პორტალის ინსტაგრამ და ფეისბუქ გვერდებზე;

სარეკლამო სტატია განთავსდა პოლონურ ონლაინ პორტალზე businessinsider.com.pl;

საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში სხვადასხვა სახით განხორციელდა ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენი სარეკლამო-მარკეტინგული კამპანია. ჩემპიონატი პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა მონაწილე ქვეყნების ეროვნული ტელევიზიებით და თვალს ადევნებდა მილიონობით მაყურებელი. ასევე, Weightlifting House-ის ონლაინ პლატფორმით დაიფარა შემდეგი ქვეყნები: ავსტრალია, ავსტრია, ბელგია, კანადა, დანია, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ირლანდია, ჰოლანდია, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, სამხრეთ აფრიკა, ესპანეთი, შვედეთი, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, აშშ.

მიმდინარეობს ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის სარეკლამო კამპანია აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ოფიციალურ Instagram, Facebook და TikTok გვერდებზე.

დასრულდა ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის სარეკლამო კამპანია ავსტრიულ სამოგზაურო პლატფორმაზე 1000THINGS.

დასრულდა ბათუმისა და აჭარის ტურისტული პოტენციალის სარეკლამო კამპანია ლიეტუვის, ლატვიისა და ესტონეთის საინფორმაციო ვებპორტალებზე: https://www.delfi.lv/, https://www.delfi.lt/en/ და https://www.delfi.ee/.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია უკრაინასა და ახლო აღმოსავლეთში არსებული საომარი მოქმედებების გამო საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე არსებული არამდგრადი მდგომარეობიდან გამომდინარე ზოგიერთ მიზნობრივ ბაზარზე სარეკლამო-მარკეტინგული ღონისძიებების გატარება ამ ეტაპზე არ ჩაითვალა მიზანშეწონილად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 42,6 %

ქვეპროგრამის - რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება ქვეყნის შიგნით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 260,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 630,8 ათას ლარს.

ღონისძიების „სარეკლამო, საინფორმაციო და გაცნობითი ტურების ორგანიზება ტუროპერატორების, მედია საშუალებების სხვადასხვა წარმომადგენლის, ფოტოგრაფების, ექსპერტების, ტურიზმის დარგის სხვადასხვა სფეროს სპეციალისტის ან/და ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული/ტურიზმის სფეროს მასტიმულირებელი დარგის წამომადგენლებისთვის“ ფარგლებში დეპარტმანტმა აჭარის რეგიონის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით განახორციელა 6 სარეკლამო-საინფორმაციო ტური, რომლის ფარგლებშიც სოციალურ მედია პლათფორმებზე აიტვირთა 200-ზე მეტი პოსტი, 471-ზე მეტი სთორი და ტურების ფარგლებში კურორტი გოდერის შესახებ შექმნილ პოსტებს აქვს 15 მილიონზე მეტი ნახვა.

ღონისძიების „სხვადასხვა სარეკლამო საშუალებით რეგიონის ტურისტული პოტენციალის რეკლამირება და ტურიზმის სტიმულირება“ ფარგლებში აჭარის ტურისტული პროდუქტების, სერვისების, განხორციელებული პროექტებისა და ტურისტული ადგილების შესახებ ონლაინ მედიაში გავრცელების მიზნით ვებგვერდზე www.primetime.ge დაიდო და სოციალურ ქსელში გადაზიარდა 45 სტატია.

რეგიონის სამთო და საზღვაო, მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტებისა და ადგილების პოპულარიზაციის მიზნით დაიწყო კრეატიული სარეკლამო კამპანია „გამომყევი აჭარაში“. კამპანიის მონაწილეები მოგზაურობენ აჭარაში, საკუთარ გამოცდილებას, შთაბეჭდილებებსა და რეკომენდაციებს უზიარებენ გამომწერებს სოციალურ ქსელებში და აცნობენ მათ რეგიონის მრავალფეროვან ტურისტულ შესაძლებლობებს.

ღონისძიების „სხვადასხვა ღონისძიების, წარმოდგენის, შოუების, ინსტალაციების, ფესტივალებისა და სხვა პიარ-აქტივობების ორგანიზება შიდა ტურიზმის სტუმულირების, ტურისტული პრუდუქტების, ტრადიციების, კულტურის პოპულარიზაციისა და მოგზაურობის წახალისების მიზნით“ ფარგლებში ბათუმისა და ქობულეთის ზაფხულის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით განხორციელდა პიარ ღონისძიება, რომელიც მოიცავდა ბათუმისა და ქობულეთის სანაპიროზე გიგანტური ფრანების შოუს ორგანიზებას. ასევე აჭარის მთიანი მუნიციპალიტეტების ტრადიციების, კულტურის და მთაში მოგზაურობის წახალისების მიზნით შუამთობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით კურორტ ბეშუმში, ჩირუხის მთასა და ზორტიყელის მთაზე დაიგეგმა და ჩატარდა პიარ და მარკეტინგული ღონისძიებები.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ პროექტების დიდი ნაწილი დასრულდა მესამე კვარტლის ბოლოს და მათი ანაზღაურება მოხდება მეოთხე კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 50,1 %

ქვეპროგრამის - რეგიონის, ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 575,5 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 254,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „სხვადასხვა სარეკლამო-საინფორმაციო მასალის დამზადება-ბეჭდვა“ ფარგლებში დაიბეჭდა 6 000 ცალი ინგლისურენოვანი ბათუმის ტურისტული რუკა და 6000 ცალი ინგლისურენოვანი ბროშურა.

ღონისძიების „სხვადასხავა საპრომოციო, სარეკლამო მასალის, სუვენირების, ღვინის და სხვა თემატური მასალის დამზადება/შეძენა რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ტურიზმის სტიმულირებისათვის“ ფარგლებში დამზადდა 18 000 ცალი სარეკლამო საპრომოციო მასალა, კერძოდ: ბრენდირებული ბლოკნოტები, მუყაოსა და ნაჭრის ჩანთები.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „რეგიონში ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სარეკლამო-საპრეზენტაციო ვიდეო რგოლის დამზადება“ ფარგლებში მომზადდა გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად ახალი, არასტანდარტული, კრეატიული, სპეციალურად დადგმული, მაღალი ხარისხის საიმიჯო-სარეკლამო და საინფორმაციო ვიდეორგოლი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია ძირითადად უამინდობით, მუდმივი წვიმების გამო ვერ მოხერხდა მაღალხარისხიანი ფოტო-ვიდეო გადაღებების დაგეგმვა და განხორციელება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 44,3 %

ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების განვითარების პროგრამა ითვალისიწინებს სამ ქვეპროგრამას, აქედან ქვეპროგრამა - სრულყოფილი ინფორმაციითა და ხარისხიანი მომსახურებით ტურისტების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ „ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს“ ადმინისტრიულ ხარჯებს და 2 ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია - საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 935,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1 409,6 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „ფესტივალების, კონფერენციების და სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზება (ზაფხულის ფესტივალი, განდაგანა, გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი, სოფლის ტურიზმის კონფერენცია, მოლაშქრეთა ფესტივალი და სხვა)“ ფარგლებში ბათუმში ჩატარდა ორდღიანი ფესტივალი „ზაფხული იწყება აქ“ და ქობულეთის ზაფხულის ფესტივალი.

ღონისძიების „ეკო და სოფლად ტურისტულ მარშრუტებზე სარეკლამო-საინფორმაციო ტურების და აქტივობების ორგანიზება“ ფარგლებში ჩატარდა ერთი გაცნობითი ტური.

საანგარიშო პერიოდში ღონისძიების „ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაცია და განვითარება (კვლევა, მარკირება, მანიშნებლები, საინფორმაციო დაფები, პროექტირება, ინფრასტრუქტურის მოწყობა, ტურისტული ინვენტარი, ტრენინგები, ბეჭდვა და ტურისტული პროდუქტების განვითარების ხელშემწყობი სხვა ღონისძიებები)“ ფარგლებში განხორციელდა:

საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ყოფისა და ტრადიციების ამსახველი ფოტოების შესყიდვა.

პროექტის „კარგი მასპინძელი“ სტატუსის მქონე საოჯახო სასტუმროს მფლობელთათვის ფარგლებში განხორციელდა მომსახურების განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგების ორგანიზება.

დასრულდა სახალვაშოში მდებარე ფრინველების დაკვირვების პლათფორმაზე სარემონტო სამუშაოები.

შესრულდა ხულოს მუნიციპალიტეტში ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი.

განხორციელდა აჭარის მუნიციპალიტეტებში არსებულ ტურისტულ ლოკაციებზე სხვადასხვა ინფრასტრუქტურის სარემონტო სამუშაოები.

მომზადდა საფეხმავლო ბილიკების მოწყობისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დამზადდა ბათუმის ტურისტული რუკა, საინფორმაციო ბროშურა - „ბათუმი-აჭარის გზამკვლევი“; აჭარის რუკა, ეთნოგრაფიული წიგნი „დეკორატიული ხელოვნება

აჭარაში“ და ეთნოგრაფიული წიგნი „კულინარიული მოგზაურობა ეთნოგრაფიულ საქართველოში“.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ ხულოს მუნიციპალიტეტში ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ტურიზმის ინფრასტრუქტურის მშენებლობის ნაწილი შესრულდა, თუმცა გადახდა ვერ მოესწრო საანგარიშო პერიოდში, ასევე გადამფენ ფრინველებზე დაკვირვების კოშკის სამშენებლო სამუშაოების ნაწილი მომწოდებელმა კომპანიამ დროულად ვერ შეასრულა, რის გამოც კომპანია ჯარიმდება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 48,0 %

ქვეპროგრამის - ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 790,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 480,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ღონისძიების „ტურიზმის დარგში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე მიზანმიმართული სატრენინგო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება“ ფარგლებში მიმდინარეობს:

ქალაქ ბათუმის ტურის გიდობის მსურველთათვის მიმდინარეობს გიდის პროფესიის დაუფლების ინტენსიური თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგ კურსი;

აჭარის რეგიონში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების ბარმენების თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის რეგიონში და კერძოდ, ქ. ბათუმში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების მიმტანებისთვის თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

ხელვაჩაურის, ქედის, შუახევის, ხულოსა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული განთავსების (სასტუმრო სახლები) და კვების ობიექტების მზარეულთა თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი;

აჭარის დაცული ტერიტორიების გიდების თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგ-კურსის ორგანიზება;

აჭარის რეგიონსა და ქ. ბათუმში არსებული განთავსებისა და კვების ობიექტების მიმტანებისთვის თეორიულ-პრაქტიკული ტრენინგი.

ღონისძიების „ღონისძიებების, მასტერკლასების, ექსპედიციების და სხვადასხვა აქტივობის ორგანიზება მომსახურების ხარისხის ამაღლების მიზნით“ ფარგლებში განხორციელდა აჭარის ტერიტორიაზე არსებული განთავსების ობიექტების დასუფთავების სამსახურის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ორდღიანი მასტერკლასები და პროფესიის საპოპულარიზაციო ღონისძიებები.

ღონისძიების „ტურისტულ ობიექტებში მომსახურების ხარისხის რეგულარული მონიტორინგი და შეფასება“ ფარგლებში მიმდინარეობს აჭარის რეგიონში უცხოელი და ადგილობრივი ტურისტების კმაყოფილების კვლევა.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ სერვისის განვითარების ღონისძიებები არის მიმდინარე, დასკვნით ეტაპზე და ანაზღაურება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 60,8 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტი 2026 წელს ახორციელებს ორ პროგრამას: საავტომობილო გზების მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, რომელიც თავის მხვრივ მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - გზების რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 14 479,5 ათას ლარს, შესრულება - 10 047,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა 3 გზის სამშენებლო სამუშაოები, მიმდინარეობს 20 გზის სამშენებლო სამუშაოები. 1 გზის მშენებლობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშგებო პერიოდში საზედამხედველო ორგანიზაციის მიერ მიმდინარეობდა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცედურები, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდში ცუდი მეტეოროლოგიური პირობების (უხვი ნალექი) გათვალისწინებით რიგი სამუშაოები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში ვერ შესრულდა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,4 %

ქვეპროგრამის - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 120,1 ათას ლარს, შესრულება - 4 150,2 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში დასრულდა ორი ხიდის სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 13 ხიდის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. ასევე მიმდინარეობს 8 ხიდის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ხოლო 12 ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე უახლოეს მომავალში მოხდება საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

დასრულდა 45 საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები და მიმდინარეობს 44 საყრდენი კედლის მშენებლობის სამუშაოები. 6 საყრდენი კედლის მშენებლობა-მოწყობის სამუშაოებზე მიმდინარეობს სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა.

დასრულდა 2 დამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები და მიმდინარეობს 1 დამცავი ნაგებობის მოწყობის სამუშაოები.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო შესყიდვის პროცედურები არაერთგზის დასრულდა უარყოფითი შედეგით. აგრეთვე, სამუშაოების ნაწილზე საზედამხედველო ორგანოს მიერ მიმდინარეობდა შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცედურები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 67,8 %

ქვეპროგრამის - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 15 626,4 ათას ლარს, საკასო შესრულება 11 954,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია საწვავ-საპოხი მასალები;

განხორციელებულია ავტომობილებისა და მძიმე ტექნიკის მიმდინარე რემონტი;

გაწეულია ავტომანქანების ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები;

განხორციელებულია ავტოტრანსპორტის დაზღვევა;

გაწეულია ავტომანქანების თანამგზავრული თვალთვალის მექანიზმის ყოველთვიური მომსახურების ხარჯი;

შესყიდულია საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაცია;

გაცემულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე აყვანილი მოსამსახურეების შრომის ანაზღაურება;

გაწეულია ხარჯი მოვლა-შენახვის ღონისძიებაზე დასაქმებულთა შრომითი უსაფრთხოების დაზღვევის მიზნით;

გაცემულია ავანსი 4 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შესაძენად;

შესყიდულია 4 ერთეული ბორბლებიანი ფრონტალური დამტვირთველი.

განხორციელებულია საგზაო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნების დამზადებისთვის საჭირო ინვენტარის შესყიდვა;

განხორციელდა გასულ წელს განხორციელებული სამუშაოების ფარგლებში დაკავებული თანხების ანაზღაურება;

შესყიდულია მონოლითური ბეტონი;

განხორციელებულია ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები;

შესყიდულია მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;

განხორციელდა ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთების სამუშაოები;

შეძენილია სპეცტანსაცმელი;

განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ფარგლებში გასული წლის ასფალტობეტონის საფარის ორმული შეკეთების, მონოლითური ბეტონის შესყიდვისა და ინფრასტრუქტურის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის დავალიანების ანაზღაურება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საანგარიშგებო პერიოდში მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე არ დამდგარა ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის დიდი ოდენობით ხარჯების გაწევის საჭიროება. ასევე, ეკონომია გამოწვეულია საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებებზე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ვაკანტური ადგილებით. საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა მძიმე ტექნიკის სადაზღვევო მომსახურების შესყიდვა. წლის განმავლობაში დაგეგმილი მონოლითური ბეტონის შესყიდვისა და ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები თითქმის დასრულებულია, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცედურები, რაც ბეტონის მარკიანობისათვის გათვალისწინებული ვადის შესაბამისად საჭიროებს განსაზღვრულ დროს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 76,5 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო 2026 წელს განათლების მიმართულებით ახორციელებს ხუთ პროგრამას: საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა, აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა, ზოგადი განათლება, პროფესიული და უმაღლესი განათლება.

პროგრამა - საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ინვენტარით აღჭურვა და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 21 294,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 14 264,9 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს 11 საჯარო სკოლის მშენებლობა, სულ გაწეულია 7 295,4 ათასი ლარი:

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის დაბა მახინჯაურის საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია/ახალი კორპუსის მშენებლობა 2024-2028 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 700,6 ათასი ლარით. დასრულდა დამატებითი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები, შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები და ეზოს კეთილმოწყობა;

მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

სსიპ ქალაქ ბათუმის N31 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2025-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 1 280,6 ათასი ლარით. დასრულდა სამშენებლო სამუშაოები და სახურავის მოწყობა, მიმდინარეობს შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები და ფასადის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ბათუმის N14 საჯარო სკოლა (არსებული კორპუსის ნაწ/რეაბილიტაცია და დამატებითი კორპუსების მშენებლობა 2025-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფორუმ კონტრაქტს ლიმიტედის საქართველოს ფილიალი“, რომელიც დაფინანსებულია 1 795,3 ათასი ლარით. დასრულდა ახალი სასწავლო კორპუსის სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს შიდა კეთილმოწყობის სამუშაოები, დასრულების ეტაპზეა მეორე კორპუსის მშენებლობა;

სსიპ ქალაქ ბათუმის N18 საჯარო სკოლა (მშენებლობა 2025-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ფორუმ კონტრაქტს ლიმიტედის საქართველოს ფილიალი“, რომელიც დაფინანსებულია 825,2 ათასი ლარით. დასრულდა შენობის კონსტრუქციული სამუშაოები, მიმდინარეობს სახურავის მოწყობისა და შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 1 099,9 ათასი ლარით. დასრულდა დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში. ასევე სკოლის აბრას დამზადებაზე გაწეულია 3,9 ათასი ლარი, რომლიც განახორციელა შპს „ვისტა“-მ.

ქალაქ ბათუმში ახალი საჯარო სკოლა (მშენებლობა 2022-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიკა 2010“, რომელიც დაფინანსებულია 254,1 ათასი ლარით, დასრულდა სამშენებლო და კეთილმოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

სსიპ ქალაქ ბათუმის N8 საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და არსებული შენობის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2025-2027 წწ) - დასრულდა სარემონტო სამუშაოები, მიმდინარეობს ბიბლიოთეკის მოწყობითი სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს შპს „მშენებელი 777“, რაზეც გაწეულია 109,8 ათასი ლარი. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ქობულეთის N2 საჯარო სკოლა (დამატებითი კორპუსის მშენებლობა და ძირითადი კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია 2026-2028 წწ) - დასრულდა საბიბლიოთეკო სივრცის მოწყობა, რომელსაც ახორციელებს შპს „მშენებელი 777“, რაზეც გაწეულია 46,3 ათასი ლარი. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეს საჯარო სკოლა (ძირითადი კორპუსის რეაბილიტაცია და სპორტული დარბაზის მშენებლობა 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ბილდკინგს“, რომელიც დაფინანსებულია 172,0 ათასი ლარით, დასრულდა შენობის კონსტრუქციული და სახურავის მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს შიდა და გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხოს საჯარო სკოლა (მშენებლობა 2025-2027 წწ) სამუშაოებს ახორციელებს შპს „ევრო 222“, რომელიც დაფინანსებულია 209,6 ათასი ლარით, დასრულდა შენობის საძირკვლის და კონსტრუქციული სამუშაოები, მიმდინარეობს შენობის სახურავის მოწყობის სამუშაოები.

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დანისპარაულის საჯარო სკოლა (მშენებლობა 2025-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 798,1 ათასი ლარით, დასრულდა შენობის საძირკვლის და საყრდენი კედლების მოწყობის სამუშაოები. ასევე, სპორტდარბაზის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარეობს შენობის ძირითადი კორპუსის კონსტრუქციული სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს/დასრულებულია 26 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, სულ გაწეულია 4 449,3 ათასი ლარი:

სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 8,1 ათასი ლარით, დასრულდა სარდაფში ელექტრო ფარის მოწყობა;

სსიპ ქალაქ ბათუმის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „იმედი XXI“, რომელიც დაფინანსებულია 67,5 ათასი ლარით. დასრულდა შენობის ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები; მოეწყო საბიბლიოთეკო სივრცე.

სსიპ ქალაქ ბათუმის N9 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 15,5 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის სახურავის რეაბილიტაცია;

სსიპ ქალაქ ბათუმის N10 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „თიქია“, რომელიც დაფინანსებულია 83,1 ათასი ლარით, დასრულდა შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (იატაკის მოწყობა, სამღებრო სამუშაეობი).

სსიპ ქალაქ ბათუმის N22 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2027 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „ალიგატორი“, რომელიც დაფინანსებულია 343,8 ათასი ლარით. დასრულების ეტაპზეა ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ქალაქ ბათუმის N25 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „დიდა“, რომელიც დაფინანსებულია 185,5 ათასი ლარით. მიმდინარეობს ფასადისა რეაბილიტაცია და დასრულდა სახურავის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ქობულეთის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მოდერნ ბილდინგ კომპანი“, რომელიც დაფინანსებულია 85,9 ათასი ლარით. დასრულდა ფასადის სრული სარეაბილტაციო სამუშაოები.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვისთავის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 96,2 ათასი ლარით. ჩატარდა შენობის სრული რეაბილიტაცია. ასევე სამუშაოებს ახორციელებს შპს „თიქია“, რომელიც დაფინანსებულია 123,0 ათასი ლარით, დასრულების ეტაპზეა სააქტო და სპორტული დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გორგაძეების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „სისაიდ გრუპი“, რომელიც დაფინანსებულია 54,2 ათასი ლარით, დასრულდა ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები, შეიცვალა შენობის სახურავი, რეაბილიტირებულია ფასადი, აშენდა და დამონტაჟდა საქვაბე და სეპტიკი;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2027 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“-ი, რომელიც დაფინანსებულია 75,3 ათასი ლარით, დასრულდა სპორტული დარბაზისა და სველი წერტილების მოწყობითი სამუშაოები. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ კვირიკეს N2 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს ი/მ დავით ერქვანია, რომელიც დაფინანსებულია 139,3 ათასი ლარით. მიმდინარეობს სკოლის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულდა იატაკის მოწყობის სამუშაოები და საინჟინრო ქსელების მოწყობა, მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები.

სსიპ ჯემალ ნოღაიდელის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წყავროკას საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „კონსტრაქშენ 2022“, რომელიც დაფინანსებულია 319,7 ათასი ლარით, მიმდინარეობს შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, დასრულებულია იატაკისა და ჭერის მოწყობის, ასევე საინჟინრო ქსელების მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები.

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2024-2026 წწ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ბილდკინგს“-ი, რომელიც დაფინანსებულია 351,4 ათასი ლარით. დასრულდა სკოლის სრული რეაბილიტაცია. ასევე სამუშაობს ახორციელებდა შპს „NEW PALACE“, რომელიც დაფინანსებულია 60,5 ათასი ლარით, დასრულდა სხვადასხვა დამატებითი სარეაბილიტაციო სამუშაოები (ფასადის რეაბილიტაცია და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები);

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 1,7 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის სახურავის რეაბილიტაცია;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ყოროლისთავის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 12,8 ათასი ლარით, დასრულდა სკოლის სახურავის რეაბილიტაცია;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიქუნეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ) - დასრულდა სარემონტო სამუშაოები, სადაც მოეწყო ბიბლიოთეკა, რომელსაც ახორციელებს შპს „მშენებელი 777“, რაზეც გაწეულია 46,6 ათასი ლარი. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს N1 საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 136,6 ათასი ლარით, დასრულდა შენობის ფასადისა და ღია სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „კაიზენი“, რომელიც დაფინანსებულია 125,2 ათასი ლარით, დასრულდა ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაობი, ეზოსა და სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები;

სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ.) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 1 198,1 ათასი ლარით, დასრულებულია შენობის სახურავის მოწყობითი სამუშაოები, ფასადისა და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, მიმდინარეობს ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები;

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი მაისის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - სამუშაოებს ახორციელებს შპს „თიქია“, რომელიც დაფინანსებულია 188,3 ათასი ლარით, მიმდინარეობს კედლების მისაპირკეთებელი სამუშაოები, ელექტრო ქსელისა და გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაობი;

სსიპ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - დასრულდა ბიბლიოთეკის სივრცის მოწყობის სამუშაოები, რომელსაც ახორციელებს შპს „მშენებელი 777“, რაზეც გაწეულია 49,7 ათასი ლარი; მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში. ასევე სამუშაოებს ახორციელებს მშენებელი კომპანია შპს „მშენებელი 2016“, რომელიც დაფინანსებულია 341,1 ათასი ლარით, დასრულდა იატაკების მოწყობისა და საინჟინრო ქსელების მოწყობის სამუშაოები, მიმდინარეობს სამღებრო სამუშაოები.

სსიპ დაბა შუახევის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2025-2026 წწ) სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 48,1 ათასი ლარით, დასრულდა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნენიის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ), სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 57,3 ათასი ლარით. დასრულდა გათბობისა და სველი წერტილების რეაბილიტაციის სამუშაოები;

სსიპ ლევან ბერიძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ფურტიოს საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ) სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 50,8 ათასი ლარით, დასრულდა ფასადის რეაბილიტაცია და დამონტაჟდა ცენტრალური გათბობა;

სსიპ ამირან მამალაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბარათაულის საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026 წ) - დასრულდა სარემონტო სამუშაოები, სადაც მოეწყობა ბიბლიოთეკა, რომელსაც ახორციელებს შპს „მშენებელი 777“, რაზეც გაწეულია თანხა 40,0 ათასი ლარი. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში. ასევე სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 94,7 ათასი ლარით, დასრულდა ცენტრალური გათბობის სამონტაჟო სამუშაოები;

სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა (რეაბილიტაცია 2026-2027 წწ) - დასრულდა სარემონტო სამუშაოები, სადაც მოეწყობა ბიბლიოთეკა, რომელსაც ახორციელებს შპს „მშენებელი 777“, რაზეც გაწეულია თანხა 49,3 ათასი ლარი. მიმდინარეობს მიღება-ჩაბარების პროცესი და საბოლოო თანხა გადახდილი იქნება მეოთხე კვარტალში.

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, ალტერნატიული უძრავი ქონების დაქირავებაზე (იჯარა) გაწეულია 205,2 ათასი ლარი.

საჯარო სკოლების შენობების და ტერიტორიის სხვადასხვა გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის გაწეულია 921,8 ათასი ლარი, მათ შორის:

სსიპ ქობულეთის N5 საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 42,4 ათასი ლარით. დასრულდა შენობის სახურავისა და ფასადის რეაბილიტაცია;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ დაგვას საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 145,8 ათასი ლარით. დასრულდა სველის წერტილების მოწყობითი სამუშაოები და სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაქვის N1 საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა მშენებელი კომპანია შპს „მშენებელი 2017“, რომელიც დაფინანსებულია 33,0 ათასი ლარით. დასრულდა სველი წერტილების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ აჭყვას საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „მარდი“, რომელიც დაფინანსებულია 18,2 ათასი ლარით. დასრულდა სახურავის რეაბილიტაცია;

სსიპ ომარ ასლანიძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიხანჯურის საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „იმედი 21“, რომელიც დაფინანსებულია 156,7 ათასი ლარით, დასრულდა ეზოს კეთილმოწყობის, წყალგაყვანილობების და სხვა სამუშაოები; ასევე სამუშაოებს ახორციელებდა შპს

„კაიზენი“, დასრულდა ფასადის და შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება ჩაბარების აქტის შემდეგ;

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო წინსვლის საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ალიგატორი 1“, რომელიც დაფინანსებულია 500,5 ათასი ლარით, დასრულდა დამატებითი კორპუსის სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებული, სახანძრო უსაფრთხოების, გაყვანილობების და ეზოს მოწყობის სამუშაოები;

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ჟანივრის საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 3,0 ათასი ლარით. დასრულდა სველი წერტილების რეაბილიტაცია;

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიჭაურის საჯარო სკოლა - სამუშაოებს ახორციელებდა შპს „ლუკა“, რომელიც დაფინანსებულია 22,2 ათასი ლარით. დასრულდა სველი წერტილებისა და სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია;

10 საჯარო სკოლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვისათვის გაწეულია 969,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის კოორდინატორის, მონიტორინგის ჯგუფისა და საპროექტო ჯგუფის შრომის ანაზღაურებაზე გაწეულია 229,0 ათასი ლარი.

ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ექსპერტიზაზე გაწეულია 189,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „შენობის უსაფრთხოება და ვიდეომეთვალყურეობის სისტემა (პროექტირება, შემოწმება/შეფასება და სამუშაოები, ექსპლოატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა)“ ფარგლებში საჯარო სკოლების ახლადაშენებული შენობების ექსპლოატაციაში მიღების მიზნით, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მომსახურებისათვის გაწეულია 5,3 ათასი ლარი.

ახალი სკოლების მშენებლობებზე ტენდერები ცხადდება მშენებლობის ნებართვის პროცედურის მოპოვების შემდეგ. რიგ შემთხვევებში ნებართვის პროცედურის მოპოვება გაგრძელდა დაგეგმილზე მეტი ვადით, რის გამოც დროში გადაიწია ტენდერის გამოცხადების თარიღმა;

მიმდინარე წელს განხორციელდა სამშენებლო ნორმების და ფასების მასშტაბური კორექტირება, რის გამოც დღის წესრიგში დადგა უკვე შესყიდულ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებში ცვლილებების შეტანის საკითხი, რასაც დასჭირდა გარკვეული დრო და შესაბამისად დროში გადაიწია ტენდერის გამოცხადების თარიღმა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 67,0 %

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 295,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 165,0 ათას ლარს.

5 საჯარო სკოლა აღჭურვილია მუსიკალური ინსტრუმენტებით (ბენდის კომპლექტით - პიანინო, გიტარა, დასარტყამი და სასულე ინსტრუმენტები და სხვ.) თანხით 50,0 ათასი ლარი.

5 საჯარო სკოლის სახელოვნებო სივრცე რემოდირებულია, შეძენილია ავეჯი, ტექნიკა და რესურსები თანხით 61,2 ათასი ლარი.

განხორციელდა 11 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის ესკიზურ-არქიტექტურული პროექტის შესყიდვა თანხით 37,0 ათასი ლარი, მიღებულია 11 ერთეული 16,8 ათასი ლარის ღირებულების პრინტერი და კარტრიჯი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

გამოცხადებულია ტენდერი 3 500 კომპლექტი სასკოლო ინვენტარის (მერხისა და სკამის კომპლექტი) შესასყიდად. მომავლის განათლების კომპონენტში გათვალისწინებულ ღონისძიებაზე მიმდინარეობს 242 ერთეული პროექტორისა და მისი აქსესუარის შეტანა სკოლებში; გამოცხადებულია ტენდერი 3 ინტერაქტიული დაფის, 26 საჯარო სკოლისათვის 100 ერთეული ლეპტოპისა და 11 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკისთვის 55 ერთეული ლეპტოპის შესყიდვაზე. მზადდება სატენდერო წინადადება ბიბლიოთეკების ავეჯის შესასყიდად. სპორტული ინვენტარის შეძენაზე დადებულია ხელშეკრულება 30 სკოლისათვის სპორტული ინვენტარის შესყიდვაზე. თანხის ათვისება განხორციელდება შემდეგ კვარტალში.

ქვეპროგრამის - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 5 600,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 5 311,8 ათას ლარს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა თანხით 5 255,1 ათასი ლარი. გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 56,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,9 %

პროგრამა - აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მოიცავს ოთხ ქვეპროგრამას: სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“, სსიპ „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი“

და ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.

ქვეპროგრამის - სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 026,4 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 2 497,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის, ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტისა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საქმიანობა - თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება - 1 453,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „პერსონალის პროფესიული განვითარება“ ფარგლებში (აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობა) გაწეულია 13,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსება და წიგნადი ფონდის განახლების ხარჯების“ ფარგლებში წიგნადი ფონდის განახლებაზე გაწეულია 15,8 ათასი ლარი, ხოლო კონფერენციების და სეზონური სკოლების მოწყობისათვის გაწეულია 17,8 ათასი ლარი.

41 სტუდენტმა უცხოეთის წამყვან უნივერსიტეტებში და მოწინავე კომპანიებში გაიარეს სასწავლო პრაქტიკა, საანგარიშო პერიოდში გაწეულია ხარჯი 55,0 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით გაწეულია 393,1 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კომუნალური ხარჯების გადახდა თანხით 548,2 ათასი ლარი.

გეგმასა და ფატს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების გამო, წიგნადი ფონდის განახლებაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები კომპანიებთან, რომლის დაფინანსება განხორციელდება მოწოდების შემდეგ, ჩატარებულია 5 საზაფხულო სკოლა და კონფერენცია, რომელთა ანაზღაურება განხორციელდება წარმოდგენილი დოკუმნეტაციის შესაბამისად, უნივერსიტეტის სხვადასხვა შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გაფორმებულია ხელშეკრულებები, რომლის დაფინსება განხორციელდება წლის ბოლომდე შესრულებული სამუშაოების მიხედვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე მიმდინარეობს სამუშაოები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 62,0 %

ქვეპროგრამის - სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი-ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 240,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 102,7 ათას ლარს.

ავტორიზაციის სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად, სამეცნიერო-კვლვითი საქმიანობის ხელშეწყობის, ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიზნით, საანგარიშგებო პერიოდში გაფორმდა შესყიდვის

ხელშეკრულებები და დაფინანსდა კომპიუტერული ტექნიკის (მაგიდის კომპიუტერები/პრინტერები) განახლების მიმართულებით, რაზეც გაწეულია 469,5 ათასი ლარი, საკონფერენციო დარბაზის ვიზუალიზაციის და გახმოვანების სისტემის მოწყობაზე გაწეულია 30,3 ათასი ლარ, გემის ხიდურის სიმულატორი DP – 279,3 ათასი ლარი, საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება - 18,0 ათასი ლარი.

უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კომუნალური ხარჯების გადახდა თანხით 29,4 ათასი ლარი, კატრიჯების შეძენა - 21,0 ათასი ლარი,შენობა-ნაგებობებისა და ტერიტორიის დაცვის მომსახურება - 152,7 ათასი ლარი, Microsoft Office 365 ლიცენზირება - 47,2 ათასი ლარი, ანტივირუსის შეძენა - 13,2 ათასი ლარი, საკონფერენციო დარბაზის ვიზუალიზაციის და გახმოვანების სისტემა - 17,2 ათასი ლარი, სასწავლო ტრენაჟორების ტექნიკური მხარდაჭერა - 24,8 ათასი ლარი, ქსელის კაბელი - 0,1 ათასი ლარი..

გეგმასა და ფაქტიურ ხარჯს შორის დარჩენილი რესურსის ათვისება განხორციელდება შემდეგ კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 49,2 %

ქვეპროგრამის - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 490,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 1 140,2 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

დაფინანსებულია უნივერსიტეტში აკადემიური უმაღლესი პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხორციელების მიზნით პროფესორ მასწავლებელების შრომის ანაზღაურება - 1 048,4 ათასი ლარი.

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით გაწეულია 91,8 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმით, რომ აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვების ოქტომბრის თვეში დამტკიცების გამო, საათობრივი წესით გასაცემი თანხების გაცემაც ხდება ოქტომბრის თვიდან, ასევე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხის აუთვისებლობა გამოწვეულია ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად ვერ შესრულების გამო. დარჩენილი რესურსის ათვისება განხორციელდება საანგარიშო წლის ბოლომდე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 76,5 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერისტეტის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 560,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი კი 252,6 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა კომუნალური ხარჯების, ინფრასტრუქტურული სამუშაოების ღირებულების და ავტორიზაციის საფასურის გადახდა თანხით 252,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის დარჩენილი ფინანსური რესურსის ათვისება განხორციელდება შემდეგ კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 45,1 %

პროგრამა - საჯარო სკოლების საპანსიონო მომსახურება, გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) და ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 154,0 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 645,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლები: „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიბაურის N2 საჯარო სკოლა“, „სსიპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის ჩაისუბნის N2 საჯარო სკოლა“, „სსიპ ფრიდონ თურმანიძის სახელობის ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მერისის საჯარო სკოლა“, „სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის დაბა შუახევის საჯარო სკოლა“, ასევე გაძლიერებული სწავლების საჯარო სკოლები : „სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა“, „სსიპ რუსლან მელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლა“ და „ქალაქ ბათუმში ახალი საჯარო სკოლა“ დაფინანსდა 645,0 ათასი ლარით: დაფინანსდა საპანსიონო მომსახურების მქონე 4 საჯარო სკოლის ფუნქციონირების თანმდევი ხარჯები; მხარდაჭერილ იქნა სსიპ ქალაქ ბათუმის N6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის გაძლიერებული სწავლების პროცესი; განხორციელდა სსიპ ქალაქ ბათუმის N21 საჯარო სკოლის ავტორიზაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება; ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლაში განხორციელდა ბიბლიოთეკის ავეჯით აღჭურვა.

შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია ოფისის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების აუთვისებლობიდან გამომდინარე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 55,9 %

ქვეპროგრამის - ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 710,5 ათას ლარს, ხოლო ხარჯი კი - 561,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში „სსიპ ვახტანგ პაპუნიძის სახელობის დაბა ქედის საჯარო სკოლის“, „სსიპ თეიმურაზ ჯორბენაძის ქალაქ ქობულეთის N3 საჯარო სკოლის“, „სსიპ ქალაქ ბათუმის N26 საჯარო სკოლისა“, „სსიპ ქალაქ ბათუმის N17 საჯარო სკოლის“ და „სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ერგეს საჯარო სკოლის“ ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა, სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მქონე საშუალოდ 51 სსმ მოსწავლეს გაეწია შესაბამისი მომსახურება თანხით 539,0 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 22,5 ათასი ლარი.

შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია მიმდინარე ხარჯების (კვებისა და ხვა საქონელი და მომსახურების ხარჯების) აუთვისებლობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 79,0 %

პროგრამა - ზოგადი განათლება მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ვასწავლოთ მომავალი წარმატებისთვის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 963,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 789,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამით გათვალისწინებული მაღალმთიანი აჭარის (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში არსებული სხვადასხვა საგნის მასწავლებლის დეფიციტის შესავსებად სულ დასაქმებულია 18 პედაგოგი, რაზეც გაწეულია 114,0 ათასი ლარი.

„პროექტი ჩემს გაკვეთილზე“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 150 პროექტი თანხით 550,0 ათასი ლარი.

„ჩემი დამრიგებელი“ ღონისძიების ფარგლებში დაფინანსდა 100 პროექტი თანხით 100,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში სამინისტროს კონკურსებში გამარჯვებულ 150 პედაგოგთან (ქვეპროგრამის ბენეფიციართან) გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა, გაწეულია ხარჯი 25,1 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში (ქედა, შუახევი, ხულო) სწავლების ხელმისაწვდომობის მიზნით საანგარიშო პერიოდში ნაცვლად 30 მასწავლებლისა დასაქმებულია 18 მასწავლებელი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 81,9%

ქვეპროგრამის - კონკურსები და ოლიმპიადები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 010,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 809,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

შეძენილია 2025 წელს კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების დაჯილდოვების მიზნით შეძენილი 49 ცალი სტანდარტული ლეპტოპი, 85 ცალი პლანშეტი, 4 ცალი სმარტ საათი, 3 ცალი პორტატული დამტენი (ფოვერ ბანკი) თანხით 120,2 ათასი ლარი. ასევე შეძენილია დიპლომები და სიგელები, რაზეც გაწეულია 1,2 ათასი ლარი.

დაფინანსდა 24 სასკოლო კლუბის ინიციატივა თანხით 59,9 ათასი ლარი.

საგანმანათლებლო/შემეცნებითი ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა პოლონელების ვიზიტი საქართველოში, დაფინანსდა თურქეთის სამეცნიერო ბანაკში გასამგზავრებელი მოსწავლეების შესარჩევი კომისიის წევრების შრომის ანაზღაურება, თურქეთის სამეცნიერო ბანაკში გაიგზავნა 5 მოსწავლე, ესეების კონკურსში გამარჯვებული 10 მოსწავლის ვიზიტი პოლონეთში, სულ გაწეულია 64,6 ათასი ლარი.

დაფინანსდა 10 საჯარო სკოლის თეატრალური დასის პროექტი და 14 საჯარო სკოლა აღიჭურვა მუსიკალური ინსტრუმენტებით. გაწეულია ხარჯი 96,5 ათასი ლარი.

ღონისძიების „აგრარული განათლების პოპულარიზაცია“ ფარგლებში დაფინანსებულია 6 სკოლის მიერ წამოდგენილი პროექტი თანხით 32,2 ათასი ლარი.

დაფინანსდა 26 საჯარო სკოლის ინიციატივა, რომლებიც ჩართული იყვნენ სახელოვნები სივრცეების რემოდელირების პროექტში, ხარჯი გაწეულია 66,8 ათასი ლარი.

განხორციელდა ლიტერატურული მარათონი, სახვითი ხელოვნებისა და ესეების კონკურსი, სულ გაწეულია ხარჯი 46,5 ათასი ლარი.

დაფინანსდა 30 სასკოლო ბიბლიოთეკის პროექტი თანხით 90,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა საზაფხულო სკოლა თანხით 231,9 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის დარჩენილი თანხის ათვისება განხორციელდება საანგარიშო წლის ბოლომდე.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,2 %

პროგრამა - პროფესიული და უმაღლესი განათლება მოიცავს ექვს ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 555,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 555,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსდა 529 სტუდენტის სწავლება თანხით 555,9 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - უმაღლესი განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 174,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 124,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2 კონფერენცია 47,1 ათასი ლარით, გაიმართა განათლების მხადამჭერი ღონისძიება (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მცხოვრებ აბიტურიენტებთან შეხვედა) თანხით 4,7 ათასი ლარი.

დაფინანსდა 2 სეზონური სკოლის ორგანიზება თანხით 20,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის დაარსებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია თანხით 32,6 ათასი ლარი.

ღონისძიების „უცხოენოვანი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურის თარგმნა/ბეჭდვა“ ფარგლებში ითარგმნა და დაიბეჭდა ორი სამეცნიერო/სახელმძღვანელო ლიტერატურა თანხით 19,9 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მიმდინარე წელს კონფერენციებისა და სეზონური სკოლების საგრანტო კონკურსებში გამარჯვებული ორგანიზაციების მიერ ღონისძიებების განხორციელება დაგეგმილია IV კვარტალში. შესაბამისად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრების ათვისება განხორციელდება IV კვარტალში, ღონისძიებების დაგეგმილი ვადების შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,1 %

ქვეპროგრამის - ტექნიკური, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მიმართულებების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 163,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 157,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „წარჩინებული სტუდენტების მხარდაჭერა“ ფარგლებში დაფინანსებულია 150 სტუდენტი თანხით 150,0 ათასი ლარი.

ქვეროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსდა მაღალი აკადემიური მოსწრების 150 წარჩინებული სტუდენტთან შეხვედრა, რაზეც გაწეულია 6,8 ათასი ლარი.

50%-70%-100% გრანტის მფლობელი პირველი კურსის სტუდენტების მხარდაჭერის ფარგლებში დაფინანსებულია 1 პირველი კურსის სტუდენტი თანხით 0,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,5 %

ქვეპროგრამის - სწავლა საზღვარგარეთ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 863,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 453,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში 31 სტუდენტს სწავლა დაუფინანსდა სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე 453,8 ათასი ლარით.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების მიმდინარეობით. ამ ეტაპზე საგრანტო კომისიის მიერ მომზადებულია ქვეპროგრამის

ბენეფიციართა გამოვლენის შესახებ შესაბამისი ოქმები. ამასთან, მიმდინარეობს ქვეპროგრამის ფარგლებში გამარჯვებული სტუდენტებისთვის საგრანტო თანხების გამოყოფის, მათთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმებისა და საგრანტო თანხების ჩარიცხვისთვის საჭირო პროცედურები. ქვეპროგრამის ფარგლებში წარმოქმნილი რესურსის ათვისება განხორციელდება მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში, შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურების დასრულების შემდეგ.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 52,6 %

ქვეპროგრამის - უცხოეთში სტაჟირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 64,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 57,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

გაიგზავნა 7 სტაჟიორი საზღვარგარეთ თანხით 14,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა 4 უცხოელის სტაჟირება თანხით 25,0 ათასი ლარი.

გაწეულია კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 16,7 ათასი ლარი.

ღონისძიების ქვეპროგრამის განხორციელების მხარდაჭერა ფარგლებში დაფინანსებულია სტაჟიორებისათვის ქართული ენის შემსწავლელი კურსების ორგანიზება თანხით 1,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კონკურსში მონაწილე კანდიდატებმა ვერ დააკმაყოფილეს ქვეპროგრამით განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,3 %

ქვეპროგრამის - პროფესიული განათლების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 145,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 111,6 ათას ლარს.

ღონისძიების „პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ბლექსის“ 5 პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებული ხარჯები თანხით 25,0 ათასი ლარი და 10 პროფესიული განათლების სტუდენტის (მათ შორის: 5 სსიპ კოლეჯი ბლექსისა და 5 სსიპ კოლეჯი ახალი ტალღას) გაცვლით პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები თანხით 50,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ბლექსისა“ და სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მიერ ერთობლივად ორგანიზებული საგანმანათლებლო ღონისძიება - კონფერენცია თანხით 30,0 ათასი ლარი.

დაფინანსდა სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღას“ მიერ შემუშავებული კულინარიული წიგნის (ტრადიციული ხალხური რეცეპტების კრებული - აჭარული კერძები) ბეჭდვასთან დაკავშირებული ხარჯები თანხით 6,6 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მიმდინარე წელს სსიპ კოლეჯ „ახალი ტალღას“ 5 პროფესიული განათლების მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება უცხოეთში დაზუსტდა და განხორციელდება ნოემბრის თვეში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,0 %

სპორტის განვითარების ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის მიზნით სპორტის დეპარტამენტი 2026 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, სპორტის სფეროს მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და პროგრამას - სპორტის ხელშეწყობა.

პროგრამის - სპორტის ხელშეწყობის ფარგლებში ხორციელდება შვიდი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 368,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 3 793,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა აჭარის ჩემპიონატების, პირველობებისა და საერთაშორისო რესპუბლიკურ ტურნირებში, სასწავლო-საწვრთნო შეკრებებში აჭარის გუნდებისა და სპორტსმენების, მწვრთნელების, მსაჯებისა და ფედერაციების წარმომადგენლების მონაწილეობა. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 410 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 3 793,3 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის თანხის აუთვისებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მიმდინარე კვარტალში დაგეგმილი იყო სპორტული თემატიკის ფორუმის გამართვა, რომელიც ტექნიკური პირობების გამო გაიმართება მეოთხე კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 86,8 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 290,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 271,2 ათას ლარს.

აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციის 484 სპორტსმენსა და მწვრთნელს სხვადასხვა რანგის ჩემპიონატებსა თუ პირველობებში მიღწეული წარმატებებისათვის, ასევე საქართველოს ჩემპიონობისათვის რაგბის კლუბ ბათუმს, საკალათბურთ კლუბ ბათუმს და ხელბურთის კლუბ ბათუმს ქვეპროგრამის ფარგლებში გადაეცა ერთჯერადი ფულადი ჯილდო თანხით 1 271,2 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,5 %

ქვეპროგრამის - სათამაშო და ინდივიდუალურ სახეობათა განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 790,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 690,4 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

9 თვის განმავლობაში ჩატარდა 52 სასწავლო-საწვრთნო შეკრება ხელბურთის, წყალბურთის, ფეხბურთის, კალათბურთის, ინდორ ჰოკეის, ძიუდოს, ძალოსნობის, თავისუფალი ჭიდაობის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, რაგბის, მშვილდოსნობისა და ფრენბურთის ნაკრებ გუნდებში. ღონისძიებების პროცესში მონაწილეები უზრუნველყოფილი იყვნენ ტრანსპორტით, სასტუმროთი და კვებით, ღონისძიების ორგანიზაციებისათვის საჭირო დარბაზის იჯარით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 87,4 %

ქვეპროგრამის - ახალგაზრდებში სპორტის პოპულარიზაცია და მასტერკლასები საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 9,8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული შეხვედრებისა და მასტერკლასების ორგანიზებას, რომლის მიზანია ჯგუფური და ინდივიდუალური უნარების განვითარება ახალგაზრდებში, მონაწილეები შეძლებენ თავიანთი ფიზიკური და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას.

ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხებიდან გამომდინარე თანხის ათვისება განხორციელდება მომდევნო კვარტალში.

ქვეპროგრამის - მწვრთნელთა, მსაჯთა და სპორტსმენთა სოციალური მხარდაჭერა და წახალისება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 212,1 ათას ლარს, საკასო ხარჯი 200,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

2026 წლის განმავლობაში ყოველთვიური 280 ლარიანი დახმარება გაეწია 74 ბენეფიციარს (180,6 ათასი ლარი), იუბილეებისა და სხვა ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით მატერიალური მხარდაჭერა გაეწია 23 ბენეფიციარს - სულ თანხით 18,3 ათასი ლარი. ასევე გაცემული იქნა ერთჯერადი დახმარება სპორტის მუშაკთა, სპორტის დამსახურებულ მუშაკთა, მოღვაწეთა და მწვრთნელთა ოჯახებზე მათი გარდაცვალების გამო (2 ბენეფიციარი) თანხით 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,7 %

ქვეპროგრამის - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა და მათ პირად მწვრთნელთა სტიპენდია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 293,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 276,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში აჭარაში მოქმედი სპორტული ფედერაციების სპორტის ცალკეულ სახეობებში მიღწეული წარმატებებისათვის 151 წარმატებულ სპორტსმენზე და მათ პირად მწვრთნელზე გაწეული იქნა მატერიალური წახალისება (სტიპენდია) 276,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 94,1 %

ქვეპროგრამის - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 745,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 507,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჭარის ჩემპიონატების ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის ტურნირებში, ფესტივალებში, ჩემპიონატებში, პირველობებში სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში სპორტსმენთა და მოყვარულთა მონაწილეობა, ასევე ხელი შეეწყობა სასკოლო სპორტის განვითარებას. საანგარიშო პერიოდში კალენდარული გეგმის თანახმად ჩატარდა აჭარაში მოქმედი ფედერაციების 42 ღონისძიება და გაწეული იქნა ხარჯი 507,7 ათასი ლარი.

ტექნიკური და საორგანიზაციო საკითხების გათვალისწინებით აჭარის მასობრივი სპორტის ფედერაციის მიერ დაგეგმილი ორი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება მეოთხე კვარტალში, ასევე დეპარტამენტის მიერ დაგეგმილი სტუდენტური სპორტული ფესტივალი (ტენდერი გამოცხადებულია) გაიმართება მეოთხე კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 68,1 %

სსიპ „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრი“ 2026 წელს ახორციელებს ორ პროგრამას, აქედან „ახალგაზრდული რეგიონული ცენტრის“ პროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ერთ პროგრამას.

პროგრამის - ახალგაზრდების ინტელექტუალური, კულტურული და კარიერული განვითარების მხარდაჭერა ფარგლებში ხორციელდება სამი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის - არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 861,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 605,8 ათას ლარს.

ღონისძიება „აჭარის რეგიონალური ლიგა“, რომელიც მოიცავს სასკოლო-საუნივერსიტეტო გასართობ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას ახალგაზრდების ჩართულობით, საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ექვსი მუნიციპალიტეტის სასკოლო გუნდების მონაწილეობით, გაიმართა აქტივობები, როგორც მუნიციპალიტეტის, ისე რეგიონალურ ეტაპზე. საანგარიშო პერიოდში ღონისძიებაში ჩართული იყო 500-მდე ახალგაზრდა. სანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 60,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „შემეცნებითი ბანაკი“, რომლის მიზანია ახალგაზრდებში საქართველოს ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ღირსშესანიშნაობების მიმართ ინტერესის გაღვივება, რაც ეფუძნება პრინციპს „ჯერ შენი ნახე“, ფარგლებში დაგეგმილია 6 შემეცნებითი ბანაკი,

რომელიც განხორციელდება ეტაპობრივად. ამ ეტაპზე ჩატარდა ოთხი ბანაკი - ყაზბეგის, ჯავახეთის და სვანეთის მიმართულებით 2 ბანაკი, რომელშიც ჩართული იყო ჯამში 120 ახალგაზრდა. ღონისძიების ფარგლებში დარჩენილი ტურები განხორციელდება ეტაპობრივად. საკასო ხარჯმა შეადგინა 100,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „ეკო ბანაკი“ ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს თეორიული და პრაქტიკული გამოცდილება: გარემოს დაცვის, ბიომრავალფეროვნების და ეკოლოგიური გამოწვევების შესახებ, ასევე გაეცნენ ეკოლოგიის მიმართულებით თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს. ღონისძიება განხორციელდა ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე, სადაც საველე დაკვირვების გზით ახალგაზრდები გაეცნო ეკოლოგიის მიმართულებით თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავების სხვადასხვა გზებსა და მეთოდებს. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 30 ახალგაზრდამ. საკასო ხარჯმა შეადგინა 39,4 ათასი ლარი.

ღონისძების „ახალგაზრდა მოლაშქრეთა კლუბი“ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ლაშქრობის მიმართულებით საბაზისო და პრაქტიკული უნარების განვითარება. ღონისძიების ფარგლებში მონაწილეები დაეუფლნენ: ლაშქრობისთვის მზადება-უსაფრთხოების წესების დაცვას და სალაშქრო აღჭურვილობის სწორად გამოყენებას. ასევე განხორციელდა შემეცნებითი-სათავგადასავლო და სპორტული აქტივობები, რომელიც განხორციელდა ბორჯომის მუნიციპალიტეტში, კახისის ტბის ტერიტორიაზე. პროექტი განხორციელდა ორ ეტაპად, თითოეულ ეტაპში მონაწილეობა მიიღო 14-18 წლის ახალგაზრდებმა. ჯამში 40 ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 44,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „YRC ფესტივალი“ მიზანს წარმოადგენს აჭარის მუნიციპალიტეტების პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ახალგაზრდების დაახლოება და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა. ღონისძიების ფარგლებში აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში: ხულოში, შუახევში, ქედაში, ხელვაჩაურსა და ქობულეთში გაიმართა ფესტივალი, მრავალფეროვანი ინტელექტუალურ-კულტურული პროგრამით. ღონისძიებაში ჩართული იყო 2 500-მდე ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 169,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე“ მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქტივობების ორგანიზება და ახალგაზრდებში აქტიური ჩართულობის, თანამშრომლობისა და გლობალური თემების მიმართ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, სასკოლო და საუნივერსიტეტო მუსიკალური ბენდების შემოქმედების მხარდაჭერა, გააქტიურება და პოპულარიზაცია. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა 3 დღიანი გასართობ-შემეცნებითი ხასიათის აქტივობები. კერძოდ, გაეროს მიერ შერჩეული ყოველწლიური თემატიკის შესაბამისი აქტივობების დატვირთული ახალგაზრდული კონგრესი, რომელსაც ესწრებოდა 200-მდე ახალგაზრდა აჭარის ექვსი მუნიციპალიტეტიდან, ხოლო მეორე და მესამე დღეს ჩატარდა ახალგაზრდული ფესტივალი, რომელშიც ცნობილ ადგილობრივ ბენდებთან ერთად მონაწილეობას იღებდა საუნივერსიტეტო და სასკოლო ბენდები. საკასო ხარჯმა შეადგინა 176,8 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 15,9 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა წარმოქმნილია ტენდერების ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 70,3 %

ქვეპროგრამის - ინტელექტუალური, კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებები
საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 476,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 424,8 ათას ლარს.

ღონისძიება „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა“ მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. ღონისძიებამ ხელი შეუწყო ინტერნაციონალიზაციას, ახალგაზრდებში მოტივაციის ამაღლებას, საერთაშორისო გამოცდილების მიღება/გაზიარებას. 9 თვეში დაფინანსების უფლება მოიპოვა 59-მა ბენეფიციარმა შემდეგი მიმართულებებით: ბელგია, ჩეხეთი, ნიდერლანდები, გერმანია, ესტონეთი, ყაზახეთი, ბულგარეთი, იაპონია, აშშ, პორტუგალია, პოლონეთი, მალტა, საბერძნეთი, იტალია, შვეიცარია, ნორვეგია, ავსტრია, ესპანეთი, მაკედონია, თურქეთი. სანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 136,1 ათასი ლარი.

ღონისძიება „რა? სად? როდის?“ გულისხმობს ინტელექტუალური თამაშის ორგანიზებას, რომელიც გაიმართა აჭარის ექვსი მუნიციპალიტეტებიდან წარმოდგენილ გუნდებს შორის, განხორციელება დაგეგმილია მთელი წლის განმავლობაში. ამ ეტაპისთვის ჩატარდა რეგულარული სასკოლო ჩემპიონატისა და აჭარის რეგულარული სტუდენტური ჩემპიონატის ეტაპები, აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ფინალი. ბათუმის რეგულარული სასკოლო ჩემპიონატის (მეორე) ეტაპი, აჭარის სასკოლო ჩემპიონატი (ხულოს, შუახევის, ქედის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში). აჭარის რეგულარული სტუდენტური ჩემპიონატის (მეორე) ეტაპი, აჭარის სასკოლო ჩემპიონატის ფინალი. ასევე ბათუმის რეგულარული სასკოლო ჩემპიონატის (მესამე) ეტაპი ბათუმის საზაფხულო ჩემპიონატის (პირველი და მეორე) ტურები.ბათუმის საზაფხულო ჩემპიონატის (მესამე, მეოთხე და მეხუთე) ტური, ბათუმის საზაფხულო ჩემპიონატის (მეექვსე, მეშვიდე და მერვე) ტური,ბათუმის საზაფხულო ჩემპიონატის(მეცამმეტე-მეთხუთმეტე) ტური. ღონისძიების ფარგლებში, მოხდა ფასიანი საჩუქრების ელექტრონული ტენდერის გზით შესყიდვა, რომელიც შემდგომ გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ. ჯამში ჩაერთო 700-მდე ახალგაზრდა. საკასო ხარჯმა შეადგინა 59,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „YRC - კლუბი“ მიზანია ახალგაზრდებში მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზაცია, რის ფარგლებშიც წლის განმავლობაში დაგეგმილია სხვადასხვა სახის გასართობ/შემეცნებითი და ინტელექტუალური აქტივობები და ღონისძიებები. „YRC კლუბის“ ფარგლებში მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების განსახორციელებლად შეძენილია მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში გამოიყენებენ კლუბის წევრები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მოხალისეობრივი ბანაკი კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, ჩატარდა ქალაქის ტური ბათუმში, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა მოინახულეს შემდეგი ლოკაციები: ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი, აჭარის ხელოვნების მუზეუმი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ძმები ნობელების

ტექნოლოგიური მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი „ბორჯღალო“. აგრეთვე კლუბის წევრებმა მოინახულეს გონიოს ციხე, პეტრას ციხე, დენდროლოგიურ პარკი და მუსიკოსთა პარკი. (ჯამში 330 ახალგაზრდა) საანგარიშო პერიოდში გაწეულია 77,2 ათასი ლარი.

ღონისძიების YRC ელჩი მიზანი იყო აჭარის ექვს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული სფეროს განვითარება, ცენტრის სერვისებზე მაქსიმალური ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების გაძლიერება. ღონისძიების ფარგლებში ახალგაზრდებმა მიიღეს პრაქტიკული ცოდნა და გამოცდილება, როგორ მოახდინონ მუნიციპალიტეტის დონეზე ახალგაზრდული პროექტების იმპლემენტაცია. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 25-მა ახალგაზრდამ. ჯამში ანაზღაურდა 33,2 ათასი ლარი.

ღონისძიება „აქტიური ახალგაზრდა“ განკუთვნილია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აქტიური მოქალაქეობით, ადგილობრივი თვითმმართველობითა და საზოგადოების განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანით. საანგარიშო პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 25-მა ახალგაზრდამ. გაწეულია 30,7 ათასი ლარი.

„კინოხელოვნების ბანაკი“ - საბანაკე ტიპის საგანმანათლებლო და შემოქმედებით ღონისძიებაა, რომელიც მიზნად ისახავდა კინოხელოვნებით დაინტერესებული ახალგაზრდების მხარდაჭერას, მათი შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას და კინოპროცესების საფუძვლების გაცნობას. ჩატარებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 18-დან 29 წლის ჩათვლით 25-მა ახალგაზრდამ აჭარის ექვსი მუნიციპალიტეტიდან. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 34,0 ათასი ლარი.

„საჯარო გამოსვლის და მოლაპარაკების ტექნიკების მასტერკლასი“ მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში ეფექტური კომუნიკაციის, ლიდერული და მოლაპარაკების უნარების განვითარებას. ღონისძიებას წარუძღვა სერტიფიცირებული და გამოცდილი ტრენერი, რომელმაც მონაწილეებს გაუზიარა თანამედროვე მეთოდები და პრაქტიკულ მიდგომები საჯარო გამოსვლისა და მოლაპარაკების პროცესში. ღონისძიებაში ჩართული იყო 30 ახალგაზრდა. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 29,9 ათასი ლარი.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 24,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 89,2 %

ქვეპროგრამის - კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 522,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 321,4 ათას ლარს.

ღონისძიების „კარიერული განვითარების მხარდაჭერა“ ფარგლებში ახალგაზრდებს მიეცათ შანსი მათთვის საინტერესო მიმართულებებში გაევლოთ სტაჟირება ღია შრომის ბაზარზე. 9 თვის განმავლობაში ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში ჩართული იყო 14 ახალგაზრდა. კომპანიების და ბენეფიციარების დაბალი მომართვიანობის გამო ვერ მოხდა ანაზღაურებად სტაჟირებაში ბიუჯეტით განსაზღვრული თანხის სრულად ათვისება. საკასო ხარჯმა შეადგინა 10,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში ახალგაზრდებს ერთჯერადი გასაცემის სახით დაუფინანსდათ სასურველი საგანმანათლებლო კურსი, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა მიმართულებით: ფსიქოლოგია, სოციალური მედიის მართვა, მარკეტინგი, ლოჯისტიკა, ადამიანური რესურსების მართვა, ციფრული დიზაინი, სოციალური მედიის მართვა, AI-ის დახმარებით აკადემიური ხატვის კურსი, არქიტექტურის კურსი, ჰასპის პროფესიული კურსი. ღონისძიების ფარგლებში დაფინანსება მოიპოვა 40 ახალგაზრდამ. ღონისძიება გრძელდება მთელი წლის განმავლობაში და დარჩენილი თანხის ათვისება მოხდება მომდევნო კვარტალში. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგიან 26,4 ათასი ლარი.

ღონისძიება „YRC აკადემია“ წარმოადგენს მრავალპროფილურ საგანმანათლებლო მოდულს, რომლის მიზანია ახალგაზრდებში სხვადასხვა მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებში, როგორც თეორიული ცოდნის, ისე პრაქტიკული გამოცდილების მიღება და უნარების განვითარება. ღონისძიება განხორციელდა სამ ეტაპად, სადაც მონაწილეობა მიიღო 60-მა ახალგაზრდამ. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგიან 50,7 ათასი ლარი.

ღონისძიება „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ მიზნად ისახავს გრანტის სახით საინიციატივო ჯგუფების მიერ შემუშავებული იდეების მხარდაჭერას, რომლებიც ემსახურება ახალგაზრდული სფეროსა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარებას, გრანტი გაიცემა არაუმეტეს 5,0 ათასი ლარისა. საანგარიშო პერიოდში გამარჯვებულად გამოვლინდა და დაფინანსდა 3 საინიციატივო ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტი. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგიან 13,3 ათასი ლარი. ვინაიდან დაფინანსება დამოკიდებულია განაცხადების რაოდენობაზე, დაბალი მომართვიანობის გამო, ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ათვისება სრულად ვერ მოხერხდა. ღონისძიების განხორციელება დაგეგმილია მთელი წლის განმავლობაში, არსებული ეკონომიის ათვისება მოხდება მომდევნო კვარტალში.

ღონისძიების „თემატური ფორუმები“ მიზანია ტრენინგების ციკლის ჩატარება შემდეგი მიმართულებით: აგრონომია, სპორტი, ხელოვნება. ფორუმის ფარგლებში აღნიშნული სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდებისთვის მოეწყო სალონური საღამოები, შედგა შედეგების განხილვა ამ სფეროში მოღვაწე ცნობილ ადამიანებთან. ღონისძიებაში ჯამში ჩართული იყო 75 ახალგაზრდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგიან 89,7 ათასი ლარი.

ღონისძიება „შენი პროფესიის გზამკვლევი“ ითვალისწინებდა საბაზო და საშუალო საფეხურის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის პროფორიენტაციის ბანაკის ორგანიზებას. მისი მიზანი იყო პროფკონსულტანტების მხარდაჭერით, მოზარდების დახმარება საკუთარი შესაძლებლობების სწორად შეფასებასა და განვითარებაში, რაც მათ ინფორმირებული პროფესიული არჩევანის გაკეთებას შეუწყობდა ხელს. ღონისძიება განხორციელდა 3 ეტაპად, სულ მონაწილეობა მიიღო 90-მა ახალგაზრდამ. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგიან 58,0 ათასი ლარი.

„ექსპო YRC“ - ფარგლებში მოეწყო ერთიანი საგამოფენო სივრცე, სადაც წარმოდგენილი იყო ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სხვადასხვა მიმართულების სერვისები, მათ შორის: ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობები, სამთავრობო და მუნიციპალური სერვისები, ჯანდაცვის პროგრამები, საერთაშორისო

საგანმანათლებლო და გაცვლითი პროგრამები, ასევე სხვა ახალგაზრდულ საჭიროებებზე ორიენტირებული ინიციატივები. საგამოფენო სივრცეში მონაწილე უწყებებსა და ორგანიზაციებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოედგინათ საკუთარი საქმიანობა, განეხილათ ახალგაზრდებისთვის ხელმისაწვდომი სერვისები და პროგრამები, ასევე მიეწოდებინათ ინფორმაცია იმ შესაძლებლობების შესახებ, რომლებითაც აჭარის რეგიონში მცხოვრებ ახალგაზრდებს შეუძლიათ სარგებლობა. ღონისძიების მიზანს წარმოადგენდა ახალგაზრდული სერვისების შესახებ ცნობადობის ამაღლება. ღონისძიებაში ჩართული იყო 500-მდე ახალგაზრდა. საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 36,0 ათასი ლარი.

ღონისძიება „ახალგაზრდული კონგრესი“ გულისხმობდა აჭარის ავტონომიური რეაპუბლიკის მასშტაბით მცხოვრები ახალგაზრდების, მათ შორის ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის სხვადასხვა პროექტებში დაფინანსებული ახალგაზრდების თავმოყრას ერთ სივრცეში, მათთვის საჯარო და სამოტივაციო ხასიათის ლექციების ორგანიზებას, აგრეთვე კონფერენციის ფარგლებში, მოეწყო პანელური შეხვედრა, სადაც ახალგაზრდებს საშუალება ჰქონდათ შეხვედრილიყვნენ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს და მათგან მიეღოთ დეტალური ინფორმაცია, კონფერენციის მიმდინარე საკითხებზე. მიმდინარე წელს კონგრესი გაიმართა თემაზე: „პიროვნული განვითარება, თვითმოტივაცია და დროის მენეჯმენტი“, რომელსაც 300-მდე ახალგაზრდა დაესწრო. ღონისძიების ფარგლებში მიმდინარეობს მიმწოდებელთან, ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული საბოლოო პროცედურები.

ღონისძიების „STEM ბანაკი“ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდებში STEM-ის მიმართულებების - მეცნიერების, ტექნოლოგიების , ინჟინერიის და მათემატიკის მიმართ ინტერესის გაღვივება და ამ სფეროებში ცოდნისა და პრაქტიკული უნარების განვითარება. ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა პრაქტიკული ექსპერიმენტები, შემეცნებითი და სახალისო აქტივობები, ტექნოლოგიური და საინჟინრო გამოწვევები, რომლებიც მონაწილეებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამყაროსთან ინტერაქტიული ფორმით დააახლოებს. ღონისძიებაზე ელექტრონული ტენდერი არ შედგა, რის გამოც საჭირო გახდა ტენდერის ხელმეორედ გამოცხადება. ღონისძიება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

გაწეულია ქვეპროგრამის კოორდინატორების შრომის ანაზღაურებაზე 36,5 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 61,5 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო 2026 წელს ახორციელებს ერთ პროგრამას - საარქივო ფონდის დაცვა, შენახვა, გაუმჯობესება, რომელიც მოიცავს ორ ქვეპროგრამას: საარქივო სამმართველოს მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ასევე ქვეპროგრამას - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა.

ქვეპროგრამის - საარქივო დოკუმენტების ელექტრონული არქივის შექმნა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 466,6 ათას ლარს, შესრულება შეადგენს 432,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ხელშეკრულებით აყვანილია პერსონალი, რომელიც ახორციელებს საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანას, ხარჯი გაწეულია 408,8 ათასი ლარი.

შეძენილია 14 ერთეული კომპიუტერის კომპლექტი თანხით 23,8 ათასი ლარი;
ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 92,7 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო 2026 წელს ახორციელებს 8 პროგრამას: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობის, სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის, მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარების, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფის და ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამებს.

პროგრამა - სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო დახმარება მოიცავს ცხრა ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 9 300,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 9 299,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 4 438 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 381, ხოლო 1 057 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - სახსრების ენდოპროთეზირება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 915,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 805,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 154 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 108, ხოლო 46 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 88,1 %

ქვეპროგრამის - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 4 300,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 299,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 12 689 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 8 621, ხოლო 4 068 პაციენტს გამოკვლევები ახალი ჩატარებული აქვს ან ჯერ არ ჩაუტარებია.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოსახლეობის საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3 570,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 362,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამით განიხილება იმ პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება (თანადაფინანსება), თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 128 ბენეფიციარი, აქედან ანაზღაურებულია 119 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯები, 9 ბენეფიციარი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 66,2 %

ქვეპროგრამის - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 14 941,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 14 941,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 6 836 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 805. ხოლო 3 031 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 4 250,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 4 249,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 971 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 621, ხოლო 350 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 100,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 098,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 033 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 2 578, ხოლო 455 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - მოზრდილი მოსახლეობის სამედიცინო რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 540,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 486,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 640 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 497, ხოლო 143 პაციენტი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსის გავლას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,5 %

ქვეპროგრამის - უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 010,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 005,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 195 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 125, ხოლო 70 პაციენტი აგრძელებს მკურნალობას.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,6 %

პროგრამა - პირველადი ჯანდაცვის ხელშეწყობა მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 759,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 751,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში სამედიცინო პერსონალთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სსიპ „სოციალურ მომსახურების სააგენტოს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და მუნიციპალიტეტების მერიების მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი სიების მიხედვით. საანგარიშო პერიოდში მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულია სულ 43 ექიმი და 46 ექთანი, ხოლო ხელვაჩაურისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტებში სულ 64 ექიმი და 64 ექთანი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,0 %

ქვეპროგრამის - ჯანგბადის კონცენტრატორებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 162,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 162,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯანდაცვისა და ა(ა)იპ ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების ცენტრებისათვის ჟანგბადის კონცენტრატორების გადაცემას შემდგომში მათ მიერ ოჯახის/სოფლის ექიმების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით მოწყვლადი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად. სამინისტროს მიერ 221 ცალი ჟანგბადის კონცენტრატორის შესყიდვისათვის გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესაბამისად გამარჯვებულმა კომპანიამ შ.პ.ს „ჯეოორთომ“ მოახდინა 221 ცალი ჟანგბადის კონცენტრატორის მოწოდება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100 %

პროგრამა - სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია მოიცავს ხუთ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ძვალ-სახსროვანი სისტემის დეფორმაციის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 360,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 346,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 1 744 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 1 387 ვაუჩერი, 357 ვაუჩერის მფლობელი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,3 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ადრეული განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 472,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 336,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 9 831 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 8 083. ხოლო 1 748 ვაუჩერის მფლობელი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,8 %

ქვეპროგრამის - აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 168,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 827,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 3 731 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 3 135 ვაუჩერი, ხოლო 596 ბენეფიციარი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,3 %

ქვეპროგრამის - ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/რეაბილიტაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 3 032,4 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 732,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 12 336 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 10 066. ხოლო 2 270 ვაუჩერის მფლობელი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 90,1 %

ქვეპროგრამის - რთული ქცევის მოზარდთა ფსიქოლოგიური მხარდაჭერა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 200,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 99,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 364 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 333 ვაუჩერი, 31 ვაუჩერის მფლობელი აგრძელებს რეაბილიტაციის კურსს. ვინაიდან ქვეპროგრამა პილოტურია და მისი განხორციელება დაიწყო 2026 წელს, ბენეფიციართა ნაკლები მომართვიანობიდან გამომდინარე დაბალია სამი კვარტლის შესრულება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 49,9 %

პროგრამა - მოსახლების გარკვეული სოციალური კატეგორიების ერთჯერადი მატერიალური დახმარება მოიცავს შვიდ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 180,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 145,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში 29 ხანდაზმულს, რომელთაც უკვე შეუსრულდათ 100 წელი, ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 5,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,6 %

ქვეპროგრამის - ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 224,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 216,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 54 ახალშობილი ტყუპის ოჯახს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,4 %

ქვეპროგრამის - ერთჯერადი სოციალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 6 179,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 5 353,1 ათას ლარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი 480 პაციენტის მკურნალობისათვის გამოყოფილი 5 229,9 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 430 ბენეფიციარის მკურნალობის ხარჯები 4 582,9 ათასი ლარი, ხოლო 71 ოჯახზე მატერიალური დახმარებისათვის გამოყოფილი 140,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია სრულად, ასევე 101 ბენეფიციარის სხვადასხვა მომსახურებაზე გამოყოფილი 809,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 92 ბენეფიციარი - 629,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის - 2008 წლის რუსული აგრესიისა და ავღანეთის სამშვიდობო მისიის (2007-2021წწ) დროს დაღუპული და დაზიანების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მეომართა ოჯახების დახმარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 570,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 570,0 ათას ლარს.

ომში დაღუპული და შშმ მეომრის ოჯახს (44 დედასა და მეუღლეს) ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 5,0 ათასი ლარი.

ომში დაღუპული და შშმ 35 მეომრის ოჯახს აგვისტოს თვეში ერთჯერადი მატერიალური დახმარების სახით გადაეცათ თითოეულს 10,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - მზრუნველობამოკლებულ პირთა რეინტეგრაციის ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 98,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 81,0 ათას ლარს.

მატერიალური დახმარება გაეწია 18 მზრუნველობამოკლებულ პირს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 82,4 %

ქვეპროგრამის - შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 130,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 104,0 ათას ლარს.

სამ წლამდე ასაკის ბავშვის შშმ სტატუსის მქონე მშობლებსა და შშმ სტატუსის მქონე ორსულ ქალებზე (22 კვირისა და მეტი ვადის ორსულობა) 52 მოქალაქეს ერთჯერადი დახმარების სახით გადაეცა თითოეულს 2,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 80,0 %

ქვეპროგრამის - სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 660,3 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 351,6 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულაა 120 001 და მეტი, მაგრამ ნაკლებია 150 001 ქულაზე, რომლის შემადგენლობაში

არის სამი და მეტშვილიანი ოჯახი (16 წლამდე ასაკის ბავშვები) და ოჯახი, რომლის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც შშმ სტატუსის მქონე ბავშვია ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარების გაწევას. საანგარიშო პერიოდში დახმარება გაეწია 751 ოჯახს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მოქალაქეთა პროგრამაში ჩართვისათვის კრიტერიუმების ვერ დაკმაყოფილების გამო.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 81,4 %

პროგრამა - შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა და ხანდაზმულთა უზრუნველყოფა დამხმარე საშუალებებით მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 241,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 170,0 ათას ლარსს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 190 ვაუჩერი, რის საფუძველზეც გაიცა 216 აპარატი. ნაწილი ვაუჩერების შესრულება წარმოდგენილი იქნება ოქტომბრის თვეში, რის გამოც შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება განხორციელდება მომდევნო კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 70,5 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 423,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 403,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 495 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 457 ვაუჩერი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 95,4 %

ქვეპროგრამის - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ხანდაზმულ პირთა სხვა დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 840,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 824,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაცემულია 846 ვაუჩერი, დღეისათვის დასრულებული და ანაზღაურებულია 835.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 98,0 %

პროგრამის - მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა მოიცავს სამ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ფსიქიკური პრობლემების მქონე გერიატრიული პაციენტების თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 092,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 091,8 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 68 ბენეფიციარს. 1 091,8 ათასი ლარით დაფინანსდა ხანდაზმული ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, განხორციელდა რეაბილიტაცია მულტიდისციპლინალური გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური მართვის გეგმის შესაბამისად, მედიკამენტოზური მკურნალობა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,9 %

ქვეპროგრამის - დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 398,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 394,3 ათას ლარს.

ა(ა)იპ „თანა“-სთან გაფორმდა ხელშეკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამაში ჩართულია 66 ბენეფიციარი. 394,3 ათასი ლარით დაფინანსდა სხვადასხვა პრობლემების მქონე, მათ შორის მარტოხელა, მიუსაფარი და ძალადობაგანცდილი დედების და ბავშვების, თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, მათი ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება და სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 99,1 %

ქვეპროგრამის - ფსიქიკური აშლილობის მქონე შშმ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 096,6 ათას ლარს, საკასო ხარჯი 2 096,6 ათას ლარს.

შპს „ბათუმის სამედიცინო ცენტრთან“ გაფორმდა ხელშკრულება მომსახურების გაწევაზე. საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია სულ 105 ბენეფიციარს. 2 096,6 ათასი ლარით დაფინანსდა შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსებით დაკომპლექტებული საცხოვრისის 24 ბენეფიციარის თავშესაფრით, კვებით, პირადი ჰიგიენის ნივთებით უზრუნველყოფა, ბენეფიციარის საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად აღჭურვილი ფიზიკური გარემოს, სხვადასხვა აქტივობების და გასართობი თუ სხვა ღონისძიებების მიწოდება. ბენეფიციარებს ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია ჩაუტარდათ მულტიდისციპლინარული გუნდის მიერ შედგენილი ინდივიდუალური ზრუნვის გეგმის შესაბამისად.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 6 650,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 6 054,5 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო და განხორციელდა 119 საცხოვრებელი სახლის შესყიდვა, საერთო ღირებულებით 5 950,0 ათასი ლარი, სახლების ექსპერტიზისათვის გადახდილია 86,0 ათასი ლარი, ხოლო სარეგისტრაციო მომსახურების საფასურისათვის გახარჯულმა თანხამ შეადგინა 18,5 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 91,0 %

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მხრივ სსიპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მართვა და მომსახურების მიწოდება, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებსა და დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკის ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 501,4 ათას ლარს, საკასო შესრულება 1 198,7 ათას ლარს. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ა) მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა:

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 0-1 წლამდე ასაკის 1 227 ბავშვს, მათ შორის: ბათუმი - 935, ქობულეთი - 99, ხელვაჩაური - 121, ქედა - 30, შუახევი - 16, ხულო - 26. საჭიროების მიხედვით რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა და ინსტრუმენტული გამოკვლევის შემდგომი კონსულტაცია ჩაუტარდა 71 ბენეფიციარს.

ბ) ფარისებრი ჯირკვლი*ს გამოკვლევა ორსულებში:

საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა ანტენატალურ კომპონენტში ჩართული 2 557 ორსული, თითოეულ მათგანს ჩაუტარდა ფარისებრი ჯირკვლის ექოსკოპია, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, განესაზღვრა თავისუფალი თირეოტროპული ჰორმონის დონე. ბათუმის მუნიციპალიტეტი - 2 488 ორსული, ქობულეთი -69 ორსული.

გ) სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა - მეორეული დიაგნოსტიკის ღონისძიებით ისარგებლა 16-მა ბენეფიციარმა (ქობულეთი - 16), მათ შორის ტიმპანომეტრია-16 (შუა ყურის ინტაქტურობის დადგენა ტიმპანომეტრული გამოკვლევით), ტვინის ღეროს სმენის მარტივი ტესტი -2, კომპიუტერული აუდიომეტრია - 2.

დ) ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:

ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტირებისა და მართვის დაგეგმვის მიზნით ღონისძიებით ისარგებლა 229 ბენეფიციარმა, მათ შორის: ბათუმი - 88, ქობულეთი - 1, ხელვაჩაური - 52, შუახევი - 1, ხულო - 87. ალერგოლოგის კონსულტაცია ჩაუტარდა 229-ს, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა 229-ს, კანის პრიკ ტესტი არაინფექციურ ალერგენებზე 229-ს, სისხლის შრატში საერთო IgE განსაზღვრა-55-ს.

ე) აუტიზმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში:

მომსახურეობა გაეწია 230 ბენეფიციარს, მ.შ. ბათუმი - 150, ქობულეთი - 37, ხელვაჩაური - 22, ქედა -2, შუახევი - 6, ხულო - 13. მათ შორის: ბავშვთა ფსიქიატრის კონსულტაცია აუტიზმის

სკრინინგული შეფასებით ჩაუტარდა 213 ბენეფიციარს, ADOS ტესტი მათგან ჩაუტარდა - 178 -ს.

ვ) C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, აივ ინფექციის აქტიური გამოვლენის ხელშეწყობა: საანგარიშო პერიოდში სკრინინგი ჩაუტარდა 8 908 ბენეფიციარს, მ.შ. C ჰეპატიტზე - 8 908, აივ ინფექციაზე- 8 908. C ჰეპატიტზე დადებითი - 4, აივ ინფექციაზე დადებითი - 0.

ზ) მშობელთა სკოლა ორსულთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ღონისძიებით ისარგებლა 540-მა ორსულმა, მ.შ. ბათუმი - 354, ქობულეთი - 43, ხელვაჩაური - 65, ქედა - 24, შუახევი - 21, ხულო - 33. ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობა - 1 865;

თ) ახალშობილთა მეტაბოლური სკრინინგი - პირველადი სკრინინგი ჩაუტარდა 1 686 ახალშობილს, მ.შ. ბათუმი - 1 195, ქობულეთი - 212, ხელვაჩაური - 171, ქედა - 49, შუახევი - 21, ხულო - 38. განმეორებითი ტესტით ისარგებლა - 19-მა ბენეფიციარმა.

ი) სპორტსმენ ბავშვთა კარდიული სკრინინგი - 1 000 ბავშვს ჩაუტარდა კარდიული სკრინინგი, მ.შ. ბათუმი - 725, ქობულეთი - 9, ხელვაჩაური - 39, ქედა - 20, შუახევი -203 და ხულო - 4. გამოვლენილი პათოლოგია - 73.

კ) აჭარის მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობისა და მემთეურთა ავადობის კვლევა განხორციელდა - 18 ვიზიტი, მ.შ. ქედა - 4, შუახევი - 6, ხულო - 8, გამოკვლეულია სულ 703 ბენეფიციარი, მ.შ. ქედა - 141, შუახევი - 293, ხულო - 269.

ლ) ორსულ და ლაქტაციის პერიოდში მყოფ ქალებში, ტყვიის შემცველობის განსაზღვრა:

პირველადი კვლევა ჩაუტარდა 2 487 ორსულს, მათ შორის ბათუმი - 1 585, ქობულეთი - 395, ხელვაჩაური - 317, ქედა - 70, შუახევი - 54, ხულო - 66. განმეორებითი კვლევა ჩაუტარდა 26 ბენეფიციარს.

მ) NIPS არაინვაზიური პრენატალური სკრინინგი: სკრინინგი ჩაუტარდა 162 ორსულს, მ.შ. ბათუმი - 118, ქობულეთი - 17, ხელვაჩაური - 18, ქედა - 3, შუახევი - 1, ხულო - 5.

ნ) ოსტეოპოროზის პრევენციული სკრინინგი - 1 498 ბენეფიციარს ჩაუტარდა, მ.შ. ბათუმი - 1 059, ქობულეთი - 144, ხელვაჩაური - 147, ქედა - 37, შუახევი- 51, ხულო - 60.

ო) ცელიაკიის სკრინინგი ბავშვებში - სკრინინგული კვლევა ჩაუტარდა 319 ბავშვს, მ.შ. ბათუმი - 310, ქობულეთი - 3, ხელვაჩაური - 2, ქედა - 2, შუახევი -1, ხულო - 1.

პ) მაღალი რისკის ახალშობილთა ქალის რძის ბანკით უზრუნველყოფა - მომსახურება გაეწია 1 ბენეფიციარს, (ბათუმი), მიწოდებული რძის რაოდენობა 2 340 მლ.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ღონისძიების „მაღალი რისკის ახალშობილთა ქალის რძის ბანკით უზრუნველყოფა“ განხორციელება ვერ დაიწყო, რადგან ამ პერიოდში შემსრულებელი დაწესებულების მიერ ვერ მოესწრო ქალის რძის ბანკის სრული ტექნიკური გამართვა, აგრეთვე, ტენდერებიდან მიღებული ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 79,8 %

დასაქმების ხელშეწყობის მხრივ სსიპ დასაქმების სააგენტო ახორციელებს ათ ქვეპროგრამას, აქედან „დასაქმების ხელშეწყობის მართვის“ ქვეპროგრამას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და 9 ქვეპროგრამას, რომელთაგან საანგარიშო პერიოდში გეგმა გათვალისწინებულია რვა ქვეპროგრამაზე.

ქვეპროგრამის - საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 150,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 119,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის სფეროში სამუშაო გამოცდილებისა და განათლების მქონე პირთა გადამზადებას საზღვაო ტურიზმის მიმართულებაში, იმ უნარების განვითარების მიზნით, რაც აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს საზღვაო სფეროში (საკრუიზო ლაინერებზე) დასაქმების ხელშეწყობისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შეირჩა 36 მოსარგებლე, რომლებიც გადიან სწავლებას საკრუიზო ლაინერზე მიმტანის, საკრუზიო ლაინერზე ბართენდერის და კონდიტერის პროფესიულ მიმართულებებში.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია მოსარგებლეთა სამუშაო და სასწავლო გრაფიკის შეთავსებით. ვინაიდან, ქვეპროგრამის ყველა მოსარგებლე დასაქმებულია შესაბამისი მიმართულებით, სასწავლო პროცესი დაიგეგმა მათზე მორგებული გრაფიკით. სრული სასწავლო კურსი დასრულდა ოქტომბრის დასაწყისში, ამ ეტაპზე მიმდინარეობს გადარიცხვის პროცედურები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 79,4 %

ქვეპროგრამის - საკვანძო კომპეტენციების განვითარება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 95,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 69,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს - დაინტერესებული პირებისათვის მოკლევადიანი ინტენსიური სწავლების შეთავაზებას შემდეგ მიმართულბებში: მულტილინგვინური კომპეტენცია-დარგობრივი უცხო ენა, ციფრული კომპეტენცია, ვექტორული და გრაფიკული პროგრამები - 3D Max; Photoshop; Illustrator; InDesign; Corel DRAW; სასტუმრო, სარესტორნო, სასაწყობე პროგრამები - ხელს შეუწყობს როგორც სამუშაოს მაძიებელს, ასევე მცირე მეწარმეს საქმიანობის წამოწყება/განვითარებაში.

ქვეპროგრამის ფარგლებში შემუშავდა სასწავლო პროგრამები, შეირჩა 200 მოსარგებლე, რომელთაგან 147-მა დაასრულა სასწავლო კურსი დარგობრივი უცხო ენისა და საოფისე მიმართულებებით, ხოლო 53 მოსარგებლე აგრძელებს სწავლას ინტერიერის დიზაინის, საოფისე საქმის მწარმოებლის და ციფრული ბუღალტერიის მიმართულებით. მოსარგებლეთა სერთიფიცირება განხორციელდება მიმიდნარე წლის ბოლოს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია, ტექნიკური მიზეზების გამო: ქვეპროგრამის ფარგლებში მესამე კავრტალში გათვალისწინებული ღონისძიებები სრულად განხორციელდა, თუმცა რიგი გარემოების გამო ვერ მოხერხდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება დროულად, რის გამოც ანგარიშსწორება განხორციელდა მეოთხე კვარტლის დასაწყისში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 73,5 %

ქვეპროგრამის - სააგენტოს საქმიანობის პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 129,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 91,8 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი კონსულტანტების მიერ განხორციელდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში 776 სამუშაოს მაძიებლის, 101 ორგანიზაციისა და 475 ვაკანსიის რეგისტრირება; მოხდა სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად შრომის მართვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებული 240 ბენეფიციარის დასაქმება;

ქვეპროგრამის ფარგლებში საინფორმაციო/სარეკლამო კამპანიის ფარგლებში მომზადდა საინფორმაციო მასალები; განხორციელდა სააგენტოს საქმიანობისა და შეთავაზებული სერვისების შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, პოტენციურ დამსაქმებელთან კომუნიკაციის გააქტიურება და ვაკანსიების მოძიება;

ქვეპროგრამის ფარგლებში ჩატარდა მასშტაბური დასაქმების ფორუმი, სადაც წარმოდგენილი იყო 80 კომპანია, 300 აქტიური ვაკანსიითა და 1 800 სამუშაო ადგილით შემდეგი საქმიანობის სფეროებიდან - კვებისა და განთავსების ობიექტები, დამამუშავებელი მრეწველობა, ვაჭრობა და დისტრიბუცია, მშენებლობა, ფინანსები და დაზღვევა, ტრანსპორტი და ლოჯისტიკა, ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მასობრივი გასაუბრება, რეგიონში მოქმედი დამსაქმებელის მოთხოვნის საფუძველზე, ნაცვლად ივლისის თვისა დაიგეგმა ნოემბრის თვეში, რის გამოც ვერ მოხდა შესაბამისი თანხის ათვისება.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,2 %

ქვეპროგრამის - შშმ პირთა პროფესიული გადამზადებისა და დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 29,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 11,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: ქვეპროგრამაში ჩართვის მსრუველი შშმ პირთა მობილიზება და ინდივიდუალური შეფასება, შეფასების საფუძველზე კარიერული განვითარების გეგმის შედგენა; კომპანიების საჭიროებებისა და მოთხოვნების მოკვლევა; 10 ბენეფიციარი გადის სწავლებას შემდეგ პროფესიებში: კულინარიის ხელოვნების, საფურშეტე საკონდიტრო ნაწარმის მომზადების, ურიკმენის, რბილი თოჯინების დამზადების და ფოტოგრაფიის მიმართულებებში.

მოსარგებლეთა სერთიფიცირება და დასაქმება განხორციელდება სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ.

შშმ პირების სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის ხანგრძლივობამ შეადგინა განსაზღვრულზე მეტი პერიოდი და თანხის ათვისება მოხდება მომდევნო კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 41,0 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა პროფესიული მომზადება/გადამზადების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 295,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 204,7 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი საქმიანობა:

პროფესიული მომზადების 80 მოსარგებლე გადის სწავლებას შემდეგ პროფესიებში: ბართენდერი, კულინარიის ხელოვნება, კონდიტერია, ელექტროობა, მძიმე სამშენებლო ტექნიკის ოპერატორი, შედუღება, საოჯახო ტიპის სასტუმროს მომსახურება და ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი;

პროფესიული გადამზადების 20 მოსარგებლემ გაიარა სწავლება კულინარიის ხელოვნების, ელექტროობის და მძიმე ტექნიკის ოპერატორის პროფესიულ მიმართულებებში.

პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების 58 მოსარგებლემ გაიარა მოკლევადიანი სწავლება სასტუმრო და სარესტორნო სხვადასხვა მიმართულებით და მიიღო სერტიფიკატი. მიმდინაეობს 22 მოსარგებლის შერჩევა.

სამუშაო გამოცდილების და ინდივიდუალური განათლების მქონე 11-მა მოსარგებლემ გაიარა აღიარების პროცესი და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი/დიპლომი შემდეგ პროფესიულ მიმართულებებში: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიები, ელექტროობა, სასტუმროს მომსახურება. მიმდინარეობს 9 მოსარგებლის აღიარების პროცედურები.

ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურებას იღებს 178 მოსარგებლე; მიმდინარეობს 22 მოსარგებლის შერჩევა. სერტიფიცირდა 89 მოსარგებლე; სხვა მოსარგებლეთა სერთიფიცირება განხორციელდება სასწავლო კურსის დასრულების შემდგომ;

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ აგვისტოს თვეში სახელმწიფო პროფესიული კოლეჯები ისვენებს, და ქვეპროგრამის ფარგლებში სამი კომპონენტის მომწოდებელი სწორედ სახელმწიფო კოლეჯებია, სასწავლო პროცესმა დაგეგმილზე დიდხანს გასტანა. ეტაპობრივად, პროფესიების მიხედვით პროფესიული მომზადების კომპონენტში სასწავლო პროცესი დასრულდება და შესაბამისი ანაზღაურება მოხდება ოქტომბერ-ნოემბრის პერიოდში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 69,4 %

ქვეპროგრამის - სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 38,0 ათას, ხოლო საკასო ხარჯი 21,3 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სწავლის პარალელურად სტუდენტების დასაქმების ხელმშემწყობი ღონისძიებების გატარებას, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტებში შრომითი უნარების განვითარებასა და დასაქმების მაჩვენებლის გაზრდას. კონკურსის გზით შერჩეულმა 28-მა ბენეფიციარმა გაიარა სწავლება/სტაჟირება მიღება-განათავსების სპეციალისტის და საოფისე მიმართულებით. კონკურსის გზით შეირჩა 12 სტუდენტი, რომელთათვის მუშავდება სასწავლო კურსი.

მოსარგებელეთა სერტიფიცირება დაგეგმილია სწავლის დასრულების შემდგომ.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის გამოცხადების გამო, ქვეპროგრამის ფარგლებში შერჩეულმა სტუდენტებმა უარი განაცხადეს პროგრამაში ჩართვაზე, რის გამოც, თავიდან მოხდა მოსარგებლეთა შერჩევა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 56,1 %

ქვეპროგრამის - დასაქმების ხელშეწყობა ციფრული უნარების განვითარების გზით საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 40,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 40,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ინფორმაციულ ტექნოლოგიურ სფეროში დასაქმება-თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების მიზნით, ახალგაზრდებში დარგობრივი ინგლისურის, კომპიუტერული და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული უნარების შეძენა/განვითარების ხელშეწყობას.

ქვეპროგრამის ფარგლებში კონკურსის გზით შერჩეულმა 20-მა მოსარგებლემ გაიარა სწავლება, ხოლო სერთიფიცირება განხორციელდება მიმდინარე წლის ბოლოს. მიმდინარეობს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცედურები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

ქვეპროგრამის - დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 10,0 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 10,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს, პროფესიული განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მქონე პირთათვის, პროფესიული საქმიანობის წამოწყება/განვითარების მხარდაჭერას, შესაბამისი სამუშაო აღჭურვილობის უზრუნველყოფით.

ქვეპროგრამის ფარგლებში შეირჩა 15 პრეტენდენტი, რომელთაც ჩაუტარდათ სამეწარმეო უნარების განვითარების ტრენინგი. გასაუბრების შედეგად შეირჩა 14 მოსარგებლე, მიმდინარეობს მოთხოვნილი სამუშაო იარაღების შეძენა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომი განვითარების ხელშეწყობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო და მის სისტემაში შემავალი ორგანიზაციები 2026 წელს ახორციელებს 16 პროგრამას. აქედან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტრო 2026 წელს ახორციელებს სამ პროგრამას: აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს, და შემდეგ 2 პროგრამას: აგროსექტორის მდგრადი განვითარების და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებს.

პროგრამა - აგროსექტორის მდგრადი განვითარება მოიცავს ორ ქვეპროგრამას.

ქვეპროგრამის - ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 30,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 25,3 ათას ლარს.

ღონისძიების „აგრარული ფესტივალი (არანაკლებ 2)“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ღონისძიების განხორციელების წესის შესაბამისად, თანადაფინანსდა ორი აგრარული ფესტივალი. მიმდინარე წლის 25 ივნისს გაფორმებული №1 თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, 28-29 ივნისს ქ. ბათუმში ა(ა)იპ „ორგანული აკვაკულტურის განვითარების ასოციაცია ფორეჯის“ მიერ ჩატარდა აგრარული ფესტივალი - „თევზისა და ზღვის პროდუქტების ფესტივალი 2026“. 2026 წლის 19 აგვისტოს გაფორმებული №2 თანადაფინანსების ხელშეკრულების საფუძველზე, 20-21 აგვისტოს ქ. ბათუმში ა(ა)იპ „აჭარის მეფუტკრეობის ბიზნეს ასოციაციის“ მიერ ჩატარდა აგრარული ფესტივალი - „შავი ზღვის თაფლის ფესტივალი 2026“. საკასო ხარჯმა შეადგინა 25,3 ათასი ლარი.

აგრარული ფორუმის მომსახურების შესყიდვა განხორციელდება მომდევნო კვარტალში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 84,3 %

ქვეპროგრამის - აგრარული ექსტენციის მიწოდება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 316,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 217,4 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება, ექსტენციონისტი (10 კაცი)“ ფარგლებში აგრარული დარგის 9 სპეციალისტთან გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები. აგროფაზების მიხედვით - მემცენარეობაში, მესაქონლეობაში, მეფუტკრეობაში და მეთევზეობაში განხორციელდა ექსტენციის მომსახურების მიწოდება 3 052 ფიზიკურ და იურიდიული პირზე, საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 204,8 ათასი ლარი. დაგეგმილი 10 ექსტენციონისტის ნაცვლად შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდა 9 ექსტენციონისტთან, ამასთან სამინისტროში განხორციელებული ოპტიმიზაციის პროცესში შრომითი ხელშეკრულება შეუწყდა 3 ექსტენციონისტს, რის შედეგადაც ღონისძიებისთვის გათვალისწინებული ასიგნებების სრულად ათვისება ვერ განხორციელდა.

ღონისძიების „საინფორმაციო მასალების მომზადება“ ფარგლებში შეძენილ იქნა საინფორმაციო მასალები: 5 000 ერთეული ბროშურა და ტრიპლეტი, საანგარიშგებო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 6,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „სოფლის მეურნეობის დარგში ჩართული ფერმერებისთვის აგროტურის განხორციელება“ ფარგლებში განხორციელდა 2 აგროტური: აგროტური ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, კერძოდ: შპს „ჯეონათსი“ - თხილის გადამამუშავებელი საწარმოში, შპს „ჯენტრი ინვესტმენტი“ - ლურჯი მოცვის პირველადი წარმოება ღია და დახურულ გრუნტში და სამაცივრე მეურნეობში და ფერმერი ნანა ფიფია - მარწყვის წარმოება სასათბურე მეურნეობაში. მეორე აგროტური: იმერეთი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - შპს „ჰერბია“, ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობაში, გურია,

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - შპს „გურიაფიში“ ნორვეგიული ორაგულის წარმოებაში და ოზურგეთი ჩაის საწარმო „პლანტაცია“ ჩაის წარმოებაში. ღონისძიების ფარგლებში გაწეულ მომსახურებაზე საკასო ხარჯმა შეადგინა 6,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „ფერმერების გადამზადების მიზნით ტრენინგების ჩატარება (არანაკლებ 10)“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდის ღონისძიების განხორციელების მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. ტენდერის დასრულების შემდგომ დარჩენილი პერიოდი აღარ ემთხვეოდა რეგიონის ძირითადი, სტრატეგიული და წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების აქტიური ვეგეტაციის შესაბამის ფენოლოგიურ ფაზებს, რომელთა ბუნებრივ მიმდინარეობასთან უშუალოდ არის დაკავშირებული ტრენინგების თემატიკა და პრაქტიკული ნაწილი. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში ტრენინგების ჩატარება აგროტექნიკური თვალსაზრისით მიზანშეწონილი აღარ იყო და ღონისძიება არ განხორციელებულა.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 68,7 %

პროგრამის - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2 229,9 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 836,0 ათას ლარს.

ღონისძიების „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში მიღებულია 4 247 განაცხადი, საიდანაც ბენეფიციარად შეირჩა 3 002. საანგარიშო პერიოდში უარი განაცხადა 161 ბენეფიციარმა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ღონისძიების ფარგლებში, სამინისტროს მხრიდან დასაფინანსებელი ბენეფიციარების რაოდენობა შეადგენს, 2 841 ერთეულს. აქედან, 1 876 ბენეფიციართან გაფორმებული სამმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელდა საქონლის შესყიდვა, რაზედაც სამინისტროს მიერ მიმწოდებლებისადმი გადასახდელი თანადაფინანსების თანხა შეადგენს - 2 076,7 ათას ლარს. საანგარიშო პერიოდში შემუშავდა და დამტკიცდა ღონისძიების განხორციელების წესი. ბენეფიციართა შერჩევის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით მომზადდა შესაბამისი ელექტრონული მონაცემთა ბაზა. ასევე, ღონისძიების განხორციელების წესით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ადგილზე გასვლითი მონიტორინგი ჩაუტარდა განმცხადებლებს. ღონისძიებით გათვალისწინებული აქტივობები მიმდინარეობს დამტკიცებული გეგმის შესაბამისად. მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საკასო ხარჯმა შეადგინა 1 535,2 ათასი ლარი, დანარჩენი ბენეფიციარების თანადაფინანსება განხორციელდება მომდევნო საანგარიშო პერიოდში.

ღონისძიების „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (12 ადამიანი)“ ფარგლებში გაფორმდა 11 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 290,3 ათასი ლარი. პროგრამის ფუნქციონირების/ადმინისტრირების ხარჯებმა შეადგინა 10,5 ათასი ლარი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 82,3 %

ააიპ „აგროსერვის ცენტრი“ 2026 წელს ახორციელებს ხუთ პროგრამას.

პროგრამა - აგროსერვისის განვითარება რეგიონში მოიცავს სამ ქვეპროგრამას, ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფა და მართვას, რომელიც წარმოადგენს ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის ადმინისტრაციულ ხარჯებს და შემდეგ ორ ქვეპროგრამას:

ქვეპროგრამის - მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 382,5 ათას ლარს, საკასო ხარჯი 368,9 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება (4 ადამიანი) ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეებთან 4 შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 68,1 ათასი ლარი. ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებმა შეადგინა 5,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეფუტკრეების დადან-ბლატის ტიპის 10 ჩარჩოიანი სკების კომპლექტით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განხორციელდება 2 000 ერთეულის შესყიდვა. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 1 900 ერთეული დადან-ბლანტის ტიპის სკები, დარჩენილი 100 ერთეულის მოწოდება განხორციელდება ეტაპობრივად სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესაბამისად, სამი კვარტლის მდგომარეობით მეფუტკრე ფერმერებზე გადაცემულია 1 250 სკა, მიმდინარეობს ფერმერებზე გადაცემის პროცესი და დასრულდება შემდგომ კვარტალში, საკასო ხარჯმა შეადგინა 295,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 96,4 %

ქვეპროგრამის - ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 895,2 ათას ლარს, საკასო ხარჯი 1 356,5 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობები:

ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოების მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გზით შეძენილი იქნა 60 კგ ცვილი ვაზის მყნობისათვის, ტორფის სუბსტრატი 330 000 ლიტრი, ციტრუსის, ხეხილის და ვაზის ნერგების წარმოებისათვის შეძენილია 60 000 ცალი ქოთანი, აგროქიმიკატები 5 580 კგ/ლ, პესტიციდები 380 კგ/ლ, ბიოპრეპარატები 70კგ/ლ და პერლიტი 10 000 კგ/ლ, ასევე საჩითილე მეურნეობისთვის შეძენილია 300 000 ცალი ბოსტნეულის თესლი და საანგარიშგებო პერიოდში წარმოებულია 50 907 ერთეული ნერგი.

მეურნეობების ფუნქციონირებისათვის გადახდილი იქნა ყოველთვიური კომუნალური გადასახადები და გაფორმებული იქნა სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.

გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა 56 შრომითი ხელშეკრულება.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ტენდერების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიით და შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა დანიშვნის პერიოდის გადავადებით და 23 ვაკანტური პოზიციით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 71,6 %

პროგრამა - მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა მოიცავს ერთ ქვეპროგრამას **„ციტრუსის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობა“,** რომლის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 700,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 150,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გადამამუშავებელი კომპანიის მიერ ფიზიკური პირიდან ყოველ არანაკლებ 0,40 ლარად შესყიდულ სამრეწველო მანდარინზე გაიცა სუბსიდია 1 კგ-ზე 0,35 ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 428 900 კილოგრამი სამრეწველო მანდარინის სუბსიდირება რეგიონში მოქმედი ციტრუსის გადამამუშავებელი საწარმოების მეშვეობით და შესაბამისად დაფინანსებამ შეადგინა 150,1 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია დაგეგმილ პროგნოზთან შედარებით ფერმერთა დაბალი მომართვიანობით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 21,4 %

პროგრამის - მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშგანახლების ხელშეწყობის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 298,8 ათას ლარს, საკასო ხარჯი 222,5 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

მეცხოველეობის დარგში ჩართული ფერმერებისა და კერძო ვეტერინარების ხელშეწყობის მიზნით საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების თანადაფინანსება, სამი კვარტლის მონაცემებით ხელოვნური განაყოფიერების გზით რეგიონში განაყოფიერებული იქნა 4 214 სული პირუტყვი, საკასო ხარჯმა შეადგინა – 148,3 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 4 შრომითი ხელშეკრულება და გაწეული იქნა პროგრამის ადმინისტრირების ხარჯები, სულ თანხით 74,2 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია დაგეგმილზე ნაკლები შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით, ასევე ქვეპროგრამის ფუნქციონირების ხარჯებში მიღებული ეკონომიით. ღონისძიების „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვები ბაზით (სილოსით) უზრუნველყოფის თანადაფინასება“ ფარგლებში მიმდინარე საანგარიშო პერიოდში უხვი ნალექის გამო ხელი შეუშალა მოსავლის დროულად აღებას და შესაბამისად სილოსის დამზადების პროცესი გადავადდა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 74,5 %

პროგრამის - სამელიორაციო სისტემის მართვა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 521,3 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 609,2 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „პროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის შრომის ანაზღაურება (15 კაცი)“ ფარგლებში გაფორმებულია 11 შრომითი ხელშეკრულება, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 210,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია, მოვლა-შენახვა“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალოს (ჟანივრის) სარწყავ არხს (1,722 კმ) ჩაუტარდა სარეკონსტრუქციო სამუშაოები, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ირემაძეების სარწყავ არხზე და ქედის მუნიციპალიტეტი სოფელ მერისის საყავრიას (უბანი) სარწყავ არხზე განხორციელებული და ანაზღაურებულია პირველი ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯმა შეადგინა 329,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „პროგრამის განხორციელების ტექნიკური მხარდაჭერა“ ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 45,1 ათასი ლარი.

ღონისძიების „ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება“ ფარგლებში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია დაგეგმილზე ნაკლები შრომითი ხელშეკრულების გაფორმებით, ასევე შტატგარეშე მუშა-მოსამსახურეთა დანიშვნის პერიოდის გადავადებით, ღონისძიების „სარწყავი და დამშრობი არხების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა“ ფარგლებში დაგეგმილია მომავალი წლის პროექტების შესყიდვა, სამუშაოები/მომსახურება მიღება განხორციელდება მომდევნო კვარტალში, ასევე ღონისძიების „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული სამელიორაციო სისტემების რეკონსტრუქცია, მოვლა-შენახვა“ ფარგლებში გათვალისწინებულია ფოლადის და პოლიეთილენის მილების შესყიდვა, გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი საქონლის/მომსახურების შესყიდვაზე, საქონლის მოწოდება და ანაზღაურება განხორციელდება მომდევნო კვარტალში. სარწყავი არხების სარეკონსრუქციო სამუშაოებზე გაფორმებული ხელშკრულებების ფარგლებში მიმდინარეობს სარეკონსტრუქციო სამუშაოები, სამუშაოების მიღება და ანგარისწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 40,0 %

პროგრამის - ფერმერებსა და აგრომეწარმეებზე ხორცისა და ხორც-პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის პროგრამა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 132,7 ათას ლარს, საკასო ხარჯი 76,7 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „შტატგარეშე მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების“ ფარგლებში გაფორმდა შტატგარეშე მომუშავეთა ერთი შრომითი ხელშეკრულება, საკასო ხარჯმა შეადგინა 12,3 ათასი ლარი, ასევე პროგრამის ადმინისტრირებაზე გაწეულია 0,1 ათასი ლარი. ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის მიერ დადგენილი წესით ფერმერების მიერ სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის სუბსიდირების საკასო ხარჯმა შეადგინა 64,3 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმის გამო, რომ საანგარიშო პერიოდში მომსახურების გაწევაზე დაბალი იყო მომართვიანობა.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 57,8 %

სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი“ ახორციელებს ერთ პროგრამას - „ლაბორატორიული კვლევითი საქმიანობის მდგრადი განვითარების მხარდაჭერა“, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო და მის სისტემაში შემავალი სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“ 2026 წელს ახორციელებს შვიდ პროგრამას, აქედან სამს ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს ორგანიზაციულ მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრირების მართვის ხარჯებს და ორ პროგრამას, ხოლო 4 პროგრამას სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო:

„გარემოსდაცვითი პროგრამა“ მოიცავს ერთ ქვეპროგრამას **„ატმოსფერული ჰაერის, ჩამდინარე და ზედაპირული წყლების ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგი“,** რომლის საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 44,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი 34,1 ათას ლარს.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

1. გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები ატმოსფერული ჰაერის (132 სინჯი ღირებულებით 24,3 ათასი ლარი), ჩამდინარე წყლის (105 სინჯი ღირებულებით 12,6 ათასი ლარი) და ზედაპირული წყლის (105 სინჯი ღირებულებით 8,1 ათასი ლარი) შემადგენლობისა და სიწმინდის შემოწმების და ანალიზის ჩატარების მომსახურების შესყიდვაზე;
2. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 108 ატმოსფერული ჰაერის, 72 ჩამდინარე და 72 ზედაპირული წყლების მდგომარეობის მონიტორინგი, საკასო ხარჯმა შეადგინა 34,1 ათასი ლარი.

მონიტორინგის განხორციელების შედეგად გამოვლენილია გარემოსდაცვითი დარღვევის 27 ფაქტი. ჩამდინარე წყალში 26 ფაქტის და ატმოსფერულ ჰაერში 1 ფაქტის

მავნე ნივთიერებათა ჩაშვების/გაფრქვევის გადამეტებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია კანონმდებლობის შესაბამისად გადაგზავნილია შესაბამის ორგანოში.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიით.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 77,5 %

პროგრამის - პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 2 650,0 ათას ლარს, საკასო ხარჯი არ გაწეულა.

პროგრამის ფარგლებში ქ. ბათუმში ზღვის სანაპირო ზოლის ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარე მონაკვეთზე პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოების, არსებული რეცხვადი ბერმის რეკონსტრუქციის (პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოები) შესყიდვაზე გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი. მიმდინარე წლის პირველი კვარტლის პერიოდში ჭარბი ატმოსფერული ნალექების შედეგად მდინარე ჭოროხის კალაპოტში წყლის დონის მკვეთრი მატებით წარმოქმნილი და გავრცელებული შლამის ფენის გამო შემცირდა სამუშაოებისთვის საჭირო ინერტული მასალის მოცულობა, რის გამოც ბათუმის სანაპირო ზოლის შესაბამის მონაკვეთებში ვერ მოხდებოდა პლაჟის გასამაგრებელი სამუშაოების პროექტით განსაზღვრული რაოდენობის ინერტული ნატანის შეტანა, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე ელექტრონული ტენდერი იქნა შეწყვეტილი.

სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტო“:

პროგრამის - ტყის დაცვა და მოვლა ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – დეგრადირებული ტყეების აღდგენა-განახლება და ტყის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 240,3 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 103,7 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა: 2 100 ცალი ფერომონის და 1 000 ცალი მწერსაჭერის შეძენა, დაავადებული ტყის ფართობებზე სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელდა ფერომონიანი მწერდამჭერების განთავსება, მონიტორინგი და დემონტაჟი, საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 103,7 ათასი ლარს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიით, ღონისძიების „დეგრადირებული ტყეების ბუნებრივი აღდგენის ხელშეწყობა“ ფარგლებში გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი, მიმდინარეობს შერჩევა-შეფასება (ქობულეთი სატყეო ადმინისტრაციის, თიკერის სატყეოს, უბანი „თიკერი“), საქონლის/მომსახურების მოწოდება და ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო კვარტალში, ასევე სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს მიერ განხორციელდა ფერომონიანი მწერდამჭერების განთავსება, მონიტორინგი და დემონტაჟი, შესაბამისად დარჩა თავისუფალი ფინანსური რესურსი.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 43,1 %

ქვეპროგრამის – სანიტარული ჭრა საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 296,0 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 296,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

ღონისძიების „ტყის დაავადებულ უბნებში სანიტარული ჭრების განხორციელება“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა დაავადებული ტყის უბნებში სანიტარული ჭრები 2 379,93 კბ.მ.-ზე (ტყის გაჯანსაღება), საანგარიშო პერიოდის საკასო ხარჯი შეადგენს 296,0 ათასი ლარს.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 100,0 %

პროგრამის - „საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება“ ფარგლებში ხორციელდება ერთი ქვეპროგრამა.

ქვეპროგრამის – სატყეო სექტორში ცნობიერების ამაღლება საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 22,1 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 14.8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი საქმიანობა:

განხორციელდა სატყეო სექტორთან დაკავშირებული საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლებაზე ორიენტირებული ღონისძიებები, კერძოდ: სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის ხანძრების პრევენციისა და სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე უსაფრთხო ქცევის წესების შესახებ საზოგადოების ინფორმირების და ხანძარსაწინააღმდეგო საინფორმაციო ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა ბანერების დამზადება და 12 სამცველოში მისი განთავსების მომსახურეობის უზრუნველყოფა, ასევე დამზადდა საინფორმაციო ბუკლეტები და ცნობიერების ამაღლებისათვის სატელევიზიო ვიდეო რგოლი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებული ეკონომიით

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 66,9 %

პროგრამის - ორგანიზაციული მართვა და ინფრასტრუქტურული პროექტები ფარგლებში ხორციელდება ორი ქვეპროგრამა: ორგანიზაციული მართვა, რომელიც მოიცავს სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს“ შენახვისა და ფუნქციონირების ხარჯებსა და ქვეპროგრამას „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“.

ქვეპროგრამის „სატყეო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის გამართვა“ საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 409,7 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 955,8 ათასი ლარი.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა სატყეო-სამეურნეო დანიშნულების 17 820 მეტრი ახალი გზის მშენებლობა და 115 150 მეტრი არსებული გზის შეკეთება. შესრულებული სამუშაოს საკასო ხარჯი შეადგენს 685,1 ათას ლარს.

ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდათ 21 ტექნიკურ მუშაკს, რომელთა სახელფასო ანაზღაურებამ შეადგინა 270,7 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში, სამუშაოების ტექნოლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარე საანგარიშო პერიოდში არ წარმოიშვა ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების განხორციელების საჭიროება, შესაბამისად არ დადგა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებული საწვავის შეძენისა და მძიმე ტექნიკის შეკეთება-მომსახურების ხარჯების გაწევის აუცილებლობა. ასევე, გაფორმდა დაგეგმილზე ნაკლები შრომითი ხელშეკრულებები. საანგარიშო პერიოდში შესაბამის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი მეტყევის სახლის არსებობიდან გამომდინარე დამატებითი მეტყევის სახლის შესყიდვის საჭიროება არ დადგა. შესაბამისად, ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღონისძიება განხორციელდება შემდგომ საანგარიშო პერიოდში, საჭიროების წარმოშობისა და შესაბამისი პრიორიტეტების განსაზღვრის შემთხვევაში.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 67,8 %

პროგრამის - ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა) საანგარიშო პერიოდის გეგმა შეადგენს 1 070,8 ათას ლარს, შესრულებამ შეადგინა 646,7 ათასი ლარი.

პროგრამის „ტყის ფონდის ინვენტარიზაცია (ტყეთმოწყობა)“ ფარგლებში განხორციელდა ქედის სატყეო ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ტყეთმოწყობა-ინვენტარიზაციის მეორე და მესამე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში ხულოს მუნიციპალიტეტის სატყეო ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე მიმდინარეობს ტყის ფონდის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები, მათ შორის პირველადი მონაცემების შეგროვება და მათი შემდგომი კამერალური დამუშავება. შუახევის მუნიციპალიტეტის სატყეო ადმინისტრაციის მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე დასრულდა ტყის ფონდის ინვენტარიზაციის საველე სამუშაოები, დასრულდა პირველადი მონაცემების შეგროვება და მიმდინარეობს კამერალური დამუშავება. ქობულეთის და ხელვაჩაურის სატყეო ადმინისტრაციების მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ტყეთმოწყობა-ინვენტარიზაციის მესამე ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოები წარმოდგენილია სააგენტოში და მიმდინარეობს წარმოდგენილი მასალების განხილვა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესაბამისი ეტაპის დასრულების და მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად ხორციელდება ანგარისწორება, შესრულებული სამუშაოს საკასო ხარჯი შეადგენს 646,7 ათას ლარს.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწილი მომსახურების შესაბამისი ეტაპის დასრულება და შესაბამისი ანგარიშსწორება გადავიდა მომდევნო კვარტალში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 60,3 %

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო 2026 წელს ახორციელებს ოთხ პროგრამას: კულტურის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვის, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს, ფოლკლორის პოპულარიზაციისა და ხელშეწყობის, კულტურის ხელმისაწვდომობა და პოპულარიზაციის და შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობის.

პროგრამის - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 461,0 თას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 160,1 ათას ლარს.

პროგრამის ფარგლებში ჩატარდა მასტერკლასები ხალხური ქორეოგრაფიისა და სიმღერის მიმართულებით, გაწეულია ხარჯი 26,8 ათასი ლარი.

ღონისძიების „სასცენო სამოსითა და აქსესუარებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში განხორციელდა სასცენო სამოსის შესყიდვა ღირებულებით 16,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა“ ფარგლებში სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადა. ოლიმპიადაში მონაწილეობდა 29 ფოლკლორული ანსამბლი (18 ხალხური ცეკვისა და 11 ხალხური სიმღერის ანსამბლი). ოლიმპიადა სამ ეტაპობრივად ჩატარდა: პირველი ეტაპი გაიმართა მუნიციპალიტეტებში, მეორე - შესარჩევი ეტაპი ბათუმში, ხოლო მესამე ეტაპი - სსიპ ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში. აჭარის რეგიონში სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის ორგანიზებაზე სულ გაწეულია 56,6 ათასი ლარი, ცეკვისა და სიმღერის 7 ანსამბლი დაჯილდოვდა ფულადი ჯილდოთი თანხით 23,4 ათასი ლარი.

ღონისძიების „ფოლკლორის სხვადასხვა მიმართულებების პოპულარიზაცია და მხარდაჭერა“ ფარგლებში გამოცხადებულია ტენდერი სახალხო დღესასწაულის „შუახევობა“ ორგანიზებისთვის, ანაზღაურება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

ღონისძიების „მუსიკალური (ხალხური საკრავებით) ინსტრუმენტებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში ფოლკლორული ანსამბლებისთვის მუსიკალური ინსტრუმენტების შეძენაზე გაფორმებულია ხელშეკრულება თანხით 49,1 ათასი ლარით. საანგარიშო პერიოდში მოწოდებულია 11 ცალი ჭიბონი და გაწეულია ხარჯი 19,8 ათასი ლარი. დარჩენილი თანხა გადაირიცხება წლის ბოლომდე ინსტრუმენტების მოწოდების შესაბამისად.

გაწეულია პროგრამის კოორდინატორის შრომის ანაზღაურებაზე 17,2 ათასი ლარი.

ღონისძიების „აჭარის სიმღერისა და ცეკვის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ოლიმპიადის გამარჯვებული ანსამბლების სასცენო სამოსით და აქსესუარებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში მიმდინარეობს სასცენო სამოსის და აქსესუარების შესყიდვა 2 ანსამბლზე: ანსამბლი „საუნჯე“ და „ქედის სალოტბარო სკოლა“. ანაზღაურება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

საანგარიშო პერიოდში ასევე ტენდერის შედეგად მიღებულია ეკონომია.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 34,7 %

პროგრამის - კულტურის ხელმისაწვდომობა და პოპულარიზაცია საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 465,7 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 942,2 ათას ლარს.

ღონისძიების „კულტურის ღონისძიებების ორგანიზება“ ფარგლებში განხორციელდა 11 პროექტი თანხით 411,1 ათასი ლარი:

„კომპოზიტორ ნათია ზეინკლიშვილის შემოქმედებითი საღამო“ -14,4 ათასი ლარი;

თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ ორჰანგაზის კავკასიური ქართული კულტურის ასოციაციასთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის სასტუმროს და კვების მომსახურება - 36,9 ათასი ლარი;

„ინოლა გურგულიას შემოქმედებითი საღამო“ - 8,2 ათასი ლარი;

„ალექსანდრე ბასიალაიას შემოქმედებითი საღამო“ – 7,8 ათასი ლარი;

„ლილიკო ნემსაძის შემოქმედებითი საღამო“ – 10,4 ათასი ლარი;

„ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატის გახსნასთან დაკავშირებით, გახსნის ცერემონიისთვის კულტურის ღონისძიების ორგანიზება“ – 215,8 ათასი ლარი;

„მარიკო კვალიაშვილის შემოქმედებითი საღამო“ – 22,2 ათასი ლარი;

„პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის თეატრის გასტროლი ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატულ თეატრში“ – 9,1 ათასი ლარი;

„იაპონური კულტურის ფესტივალი“ – 25,7 ათასი ლარი;

საქართველოს ნაციონალური ბალეტის - „სუხიშვილები“ - ახალგაზრდა თაობის კონცერტების ქალაქ ბათუმში ორგანიზების მხარდაჭერა - 32,3 ათასი ლარი;

„ქართველი კომპოზიტორის რევაზ ლაღიძის შემოქმედებითი საღამო“ – 28,3 ათასი ლარი.

ღონისძიების „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“ ფარგლებში გამარჯვებულად გამოვლენილი 8 ფესტივალიდან თანხით 624,3 ათასი ლარი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია (სრულად/ნაწილობრივ) 5 ფესტივალი თანხით 298,0 ათასი ლარი:

„შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი“ – ა(ა)იპ „თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზის განვითარების ფონდი“ – 100,0 ათასი ლარი;

„საავტორო მუსიკის რადიოფესტივალი „მუსიკა ბათუმიდან“– ა(ა)იპ „არტრადარი“ 50,0 ათასი ლარი;

„ქ. ბათუმში ყავის ფესტივალი“ – ა(ა)იპ „შამილაძე 22.2025“ -50,0 ათასი ლარი;

„შავი ზღვის საერთაშორისო ფესტივალი – „ბათუმის რაფსოდია“ – ა(ა)იპ „ივერკლასიკ“ - 30,0 ათასი ლარი;

„BIAFF”- საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი – ა(ა)იპ ბათუმის ხელოვანთა სახლი-არგანი - 68,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „შემოქმედებითი ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში გამარჯვებული 17 პროექტიდან თანხით 615,4 ათასი ლარი საანგარიშო პერიოდში დაფინანსებულია 6 პროექტი (სრულად/ნაწილობრივ) 233,1 ათასი ლარი:

ა(ა)იპ „არტ პლიუსი“ - XII საერთაშორისო სააღდგომო ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიება - „ვოკალური მუსიკის საღამო ბათუმში“ – 18,5 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „მოჩინო“ - პროექტი - „გურამ თამაზაშვილის სახელობის ქალაქური სიმღერების ფესტივალი 2026“ - ის შემოქმედებითი საღამოს ორგანიზება“ – 48,9 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი ჰარმონია“ - პროექტი - „ბათუმი მზეი - ნუგზარ ერგემლიძე და მეგობრები” – 43,6 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „პიუს XVIII კინოფონდი“ - პროექტი - „Beach“ – 47,1 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი პარალელი“ - პროექტი - „ციფრული მუზა” – 40,0 ათასი ლარი;

ა(ა)იპ „გეოდრამა“ - პროექტი - „ა“ -ს დღიურები“ – 35,0 ათასი ლარი;

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება საგრანტო კონკურსების საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული პროექტებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, მათი განხორციელების ზუსტი პერიოდი და ფინანსური რესურსი.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 64,3 %

პროგრამის - შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 366,7 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 228,8 ათას ლარს.

ღონისძიების „ფრიდონ ხალვაშის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა პოეტებისთვის/მწერლებისთვის“ ფარგლებში გამოცხადდა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსი, კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა 4 პირი, რომელიც ერთი წლის მანძილზე მიიღებს სტიპენდიას, თითოეული 0,4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 6,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „ზურაბ გორგილაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა პოეტებისთვის/მწერლებისთვის“ ფარგლებში გამოცხადდა ახალგაზრდა შემოქმედთა ლიტერატურული კონკურსი, კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლენილი იქნა 4 პირი, რომელიც ერთი წლის მანძილზე მიიღებს სტიპენდიას,

თითოეული 0,4 ათასი ლარის ოდენობით. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 6,0 ათასი ლარი.

ღონისძიების „შემოქმედებითი ან/და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებები“ ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 9 ღონისძიება თანხით 216,8 ათასი ლარი:

პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ნოვი სონჩში დაგეგმილ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალში - „მთების ბავშვთა დღესასწაული“ - ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის - „არგინეთი“ - მონაწილეობა 49,8 ათასი ლარი;

„ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბეთლემი“ (28 მონაწილე) და ა(ა)იპ შუახევის კულტურის ცენტრთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის „ჭვანა“ (15 მონაწილე) რუმინეთში დაგეგმილ საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალში მონაწილეობის მხარდაჭერა“ – 26,0 ათასი ლარი;

„ქ. ლოს ანჯელესში კინოფესტივალში - „Film Invasion Los Angeles” - მონაწილეობა“ – 19,4 ათასი ლარი;

ქ. ანესში - „ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალში - „ANNECY” - მონაწილეობის მხარდაჭერა - 7,7 ათასი ლარი;

თურქეთის რესპუბლიკაში (კუნძული ქინალიადა) დაგეგმილ საერთაშორისო ბანაკში მონაწილეობის მხარდაჭერა - 32,9 ათასი ლარი;

საბერძნეთის რესპუბლიკაში (ქ. ათენი) დაგეგმილ საერთაშორისო ბანაკში მონაწილეობის მხარდაჭერა - 31,9 ათასი ლარი;

საბერძნეთის რესპუბლიკაში კუნძულ როდოსზე დაგეგმილ საერთაშორისო ბანაკში მონაწილეობის მხარდაჭერა - 34,0 ათასი ლარი;

საბერძნეთის რესპუბლიკაში კუნძულ როდოსზე დაგეგმილ საერთაშორისო ბანაკში მონაწილეობის მხარდაჭერა - 8,4 ათასი ლარი;

ქ. ჰამბურგში „ბელკანტოს აკადემიის მასტერკლასში – Accademia Belcanto-Meisterklasse“ – მონაწილეობის მხარდაჭერა - 6,7 ათასი ლარი.

ღონისძიების „კინოხელოვნების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში განხორციელდა „დოკუმენტური ფილმების საგრანტო კონკურსი“, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდება 4 დოკუმენტური ფილმი, საერთო ღირებულებით 130,0 ათასი ლარი. გრანტის მიმღებ სუბიექტებთან გაფორმებულია საგრანტო ხელშეკრულებები, ანგარიშსწორება განხორციელდება პროექტების დასრულების შემდეგ, მე-4 კვარტალში.

ვინაიდან პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული ფინანსური რესურსის უმეტესი წილი იხარჯება კულტურის სფეროს წარმომადგენელთა მომართვის საფუძველზე წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად, შეუძლებელია წინასწარ

განისაზღვროს პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტები, მათი განხორციელების ზუსტი პერიოდი და საჭირო ფინანსური რესურსი. პროგრამის ფარგლებში აუთვისებელი ფინანსური რესურსი ათვისდება მომდევნო კვარტლებში.

პროგრამის შესრულების პროცენტი: 62,4 %

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით სსიპ „აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო“ 2026 წელს ახორციელებს ორ ქვეპროგრამას, კულტურული მემკვიდრეობის მართვას, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხარჯებს და ქვეპროგრამას - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება.

ქვეპროგრამის - კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3 957,8 ათას ლარს, ხოლო საკასო ხარჯი 1 257,9 ათას ლარს.

აჭარაში არსებული ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლების რეაბილიტაციის ფარგლებში დასრულდა: ქ. ბათუმში ზ. გამსახურდიას ქ. N9 მდებარე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ზვარეს მეჩეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაობი. მიმდინარეობს: ლაო-ჯინჯაოს სახლის სარეაბილიტაციო სამუშაობი, ქ. ბათუმში ზუბალაშვილის ქ. N30-ში მდებარე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოები და საციხურის დამწვარი ჯამისა და ქვედა სამების ნაეკლესიარის აღდგენითი სამუშაოები, ასევე მიმდინარეობს 4 ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები: ბარათაშვილის ქუჩა N28 /გორგასლის ქუჩა N44; გორგასალის ქუჩა N57; მ. აბაშიძის ქუჩა N43 და ვ. ფშაველას ქ N9 , რაზეც სულ გაწეულია 733,4 ათასი ლარი.

პეტრას ციხის ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში დასრულდა პეტრას საინჟინრო უბნის საკონსერვაციო სამუშაოები, რაზეც გაწეულია 124,5 ათასი ლარი.

საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიებების ფარგლებში ჩატარდა სამი საინფორმაციო-მარკეტინგული ღონისძიება - ძეგლების საერთაშორისო დღე, ბავშვთა საერთაშორისო დღე და გონიოს ჰანგები, თანხით 153,5 ათასი ლარი.

დასრულდა კავიანის ციხისა და გონიოს ციხის არქეოლოგიური ექსპედიციები, რაზეც გაწეულია 131,1 ათასი ლარი.

შესყიდული იქნა ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ხუთი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და ორი სრული სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი. საანგარიშო პერიოდში გაწეულია 115,4 ათასი ლარი.

გეგმასა და ფაქტს შორის სხვაობა ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

ღონისძიების „არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობა“ ფარგლებში მახვილაურის, ფიქვნარისა და პეტრას არქეოლოგიური ექსპედიციები ვერ დასრულდა საანგარიშო პერიოდში. ექსპედიციების საბოლოო ანგარიშები წარმოდგენილი იქნება ოქტომბრის თვეში, შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

სააგენტოს მიერ დაგეგმილი იყო რომაული ფესტივალის ჩატარება გონიოს არქეოლოგიურ-არქიტექტურულ კომპლექსში. მიმწოდებელმა არ შეასრულა ვალდებულება, რის გამოც ხელშეკრულება შეწყდა. ამ ეტაპზე სააგენტო მუშაობს ახალი ღონისძიების დაგეგმვაზე არსებული ფინანსური რესურსის ფარგლებში.

მიმწოდებელმა შეასრულა ღონისძიება პეტრას ციხეზე, მაგრამ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა დაგვიანებით. ანაზღაურება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო: 1. ზუბალაშვილის ქ. N30 მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება. მიმწოდებელმა სამუშაოები ვერ დაასრულა. შეწყვეტილი იქნა ხელშეკრულება და ელექტრონული ტენდერი თავიდან გამოცხადდა; 2. ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება. სამუშაოები დასრულდა, მაგრამ საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმება ვერ მოხერხდა საანგარიშო პერიოდში. შესაბამისად ანაზღაურება განხორციელდება მეოთხე კვარტალში. 3. ლაო-ჯინჯაოს სახლის სარეაბილიტაციო სამუშაობის მეორე ეტაპის დასრულება. მიმწოდებელმა ვერ დაასრულა სამუშაოები. ერიცხება პირგასამტეხლო. სამუშაოები დასრულდება მეოთხე კვარტალში.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობს: ქ. ბათუმში არსებული 4 ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ძეგლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმწოდებლის მიერ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ იქნა წარმოდგენილი საანგარიშო პერიოდში. შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში. საციხურის დამწვარი ჯამის სარეაბილიტაციო სამუშაოების ნებართვის მიღებას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. ამავდროულად არ შედგა სამუშაოების განხორციელების მიზნით გამოცხადებული პირველი ელექტრონული ტენდერი. განმეორებით გამოცხადდა მრავალწლიანი ტენდერი, რომელიც შედგა. შესაბამისად სამუშაოები დაგვიანებით დაიწყო. ამ ეტაპზე მოწყობილია საძირკველი და მიმდინარეობს ხის სამუშაოები.

ქვედა სამების ნაეკლესიარის და ახალი ეკლესიის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციას ამზადებდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია, რის გამოც მომზადებასა და შესაბამისი ნებართვის მიღებას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. შესაბამისად სამუშაოები დაიწყო დაგვიანებით და საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა სამუშაოების განხორციელება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს გალავნისა და საძირკვლის სამუშაოები.

ხინოწმინდის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე დაგეგმილი იყო სამრეკლოს მოწყობის სამუშაობი და ტაძრის ეზოს კეთილმოწყობა. საპროექტო დოკუმენტაციას ამზადებდა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია, რის გამოც მომზადებასა და შესაბამისი ნებართვის მიღებას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. შესაბამისად სამუშაოებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა დაგვიანებით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები.

დაგეგმილი იყო ბათუმის ცენტრალური მეჩეთის განბაწვის ადგილის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება. საპროექტო დოკუმენტაციას ამზადებდა სრულიად საქართველოს სამუფთო, რის გამოც მომზადებასა და შესაბამისი ნებართვის მიღებას დასჭირდა დაგეგმილზე მეტი დრო. შესაბამისად სამუშაოებზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა დაგვიანებით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები.

წიგნი „ხითხუროობა აჭარაში“ ტექსტი და დიზაინი მომზადდა საანგარიშო პერიოდში, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმება განხორციელდა ოქტომბერის თვეში. შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი იყო ღორჯომისა ხის ჯამის საძირკვლის გამაგრებისა და ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შეძენა. საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის დროს წარმოიშვა გაუთვალისწინებელი გარემოებები, რის გამოც გაგრძელდა ვალდებულების შესრულების ვადა. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნება ოქტომბრის თვეში. შესაბამისად ანგარიშსწორება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

ასევე, ტენდერებიდან მიღებულია ეკონომიები.

ქვეპროგრამის შესრულების პროცენტი: 31,8 %